


სეზონი



140
1946







მეტიობა

ბუფეტში მოსამსახურე ქალი ზანტად ასუფთავებდა საინებს; ორიოდ მსახური ალაგებდა სუფრას; სადღაც კუთხეში მიმჯდარიყო მგზავრი და საუზმობდა; პირის ასაბმელს უსწორებდა მონადირე ძაღლს.

— აქეთ, აქეთ, ვანო!—დაუყვირა სერგომ და ხელი დაუქნია კარებში შემოძვალ ბიჭს, რომელსაც პატარა ჩემოდანი ეჭირა და ბარგით დატვირთული კაცი მიჰყვებოდა.

სერგო და ვანო ერთ სკოლაში სწავლობდნენ. მხოლოდ სხვადასხვა კლასში: სერგო მეშვიდე კლასში გადავიდა წელს, ვანო კი მერვეში.

— მარტო ხარ! შეეკითხა ვანო სერგოს.
— არა, დედაც ახლავე მოვ; რიგში ჩაღვა ბილეთების საყიდლად...

— ვიცი, ვიცი... დედაც იქ დარჩა.
— შენ სად მიდიხარ?
— კისლოვოდსკოში! შენა?
— არალეთში.
— ეს არალეთი სადღაა?
— იმერეთში... პატარა სოფელია.
— რა მიგაქვს თან სოფელში სამუშაოდ?—ცოტა სიჩუმის შემდეგ იკითხა ახლად მოსულმა.

— ანკესი, ჩიტის ბაღე, პეპლების საჭერი. ხელმძღვანელმა დამავალა შეგკრიბო მასალა კოლექციისათვის... პეპლებს მოეუხერხებ რამეს, მაგრამ თევზებსა და ჩიტებს რა ვუყო არ ვიცი, ცოცხლებს ვერ წამოვიყვან; თუ დამეხოცნენ, ხომ აყროლდება...—ოდნავი მწუხარებით შენიშნა სერგომ.

— განა დარიგება არ მოუციათ, სახელ-

მძღვანელო არა გაქვს?—უფრო დინჯად უპასუხა ახლად მოსულმა.

— მაქვს მაგრამ... მართლა, შენ რა უნდა გააკეთო?

— მე უნდა დავხატო იქაურ ადამიანთა სახეები—ვინც კი შემხვდება—ლეკი, კაზაკი, ჩერქეზი... გარდა ამისა, იმათი მოსახლეობა, მუშაობა, დარიალის ხეობა... ყაზბეგში—ყაზბეგის ძეგლი, პიატიგორსკში—ლერმონტოვის გამოქვაბული და, თუ იქედან პეტროვსკის გზით წამოვედი, მაშინ ლოკოკინებიც უნდა ჩამოვიტანო.

— გაზეთისათვის, არა?
— სურათები შეიძლება, კედლის გაზეთშიც ჩავაწებოთ. ბავშვები გაჩუმდნენ.

ვანო კარგა ხანს ფიქრობდა.
— მოდი, გინდა, შეგვეჯიბროთ ერთმანეთს, ვინ უფრო მეტს გააკეთებს?

— რანაირად? მე მიყრუებულ სოფელში მივდივარ, და აბა რა უნდა გავაკეთო?

— თუ კაცი მოინდომებს, ყველგან გაკეთდება ცოტა რამ—ამაყად წარმოსთქვა მამისაგან ერთხელვე გაგონილი სიტყვები ვანომ.

— კარგი, შეგვეჯიბროთ,—დათმობის კილოთი უპასუხა სერგომ, რომელსაც ვანოს კილო აღარ ეჭაწნიკა,—მაგრამ რაში და როგორ?

— ვინც უკეთეს მასალებს ჩამოიტანს, ის იქნება გამარჯვებული.


— ვინ იქნება მერე მსაჯული?

— ჩვენი ხელმძღვანელი და ორი ამაზნავი.

— ვინც მოიგებს, იმას რა?

— არაფერი...

*) გამოუქვეყნებელი მოთხრობა.



— დაწეროთ პირობა—გათამამდა სერგო.
— დაწეროთ...
— იცი, რა?... შენ ჩემს წიგნაკში ჩასწერე, და მე შენს წიგნაკში ჩავწერ.

— კარგი.
და ორმა ბავშვმა ერთმანეთთან შეთანხმებით ჩააწერა:
„ჩვენ, პიონერები, სერგო მაღლაფერაძე და ვანო ქათიაშვილი, მთელი ზაფხულის განმავლობაში შევეკრებთ ყოველგვარ მასალას როგორც გაზეთისათვის, ისე კოლექციებისათვის და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც პიონერისთვის შესაფერისია. შემდგომად ვნიშნავთ ხელმძღვანელს და ამხანაგებს—სოსოსა და ბესოს“.

ბარგით დატვირთულ გოგორა ურემზე ისხდნენ სერგო და მისი დედა, რკინიგზით



მზავრობის შემდეგ დედა-შვილი სიამოვნებით ისუნთქავდა მდინარის მაგრილებელ ჰაერს; გზატკეცილი მდინარესთან ერთად არშიად უვლიდა ხან ერთსა და ხან მეორე მთას.

— ეს ხარებია?... დაცივნით შეეკითხა სერგო მასავით პატარა მეურმეს.
— ხარებია, აბა თხებია?!—მკვანედ უბასუხა ბიჭმა, რომელიც მიუხვდა დაცივნას.
— ასე პატარები?
— მოხვრებია, გაიზრდებიან...
— დედა, დედა, შეხედე, რა რქები აქვთ—ცერის ოდენაა.
— ჰო, შვილო, აქეთკენ მომცრო ტანის საქონელია, ისეთი კი არ არის, როგორც ქართლში.
— ეს რაა?
— ნაციხარია.
— ესა?
— სოფელია საჩხიკვია...
— უცნაური სახელი ჰქონია.
— რატომ?! თუ სამტრედიია დაბა, საჩხიკვიას სოფლად რა უჭირს?!

— ჩვენი სოფელი მალე იქნება?
— მოიცა პატარა...
მაგრამ კარგა ხანს იარეს, სანამ იქნება ეტყობა სერგოს:

— აი ჩვენი არალეთიც...
წვრილი ბილიკებით დასერილი მაღალი მთა, წვეროზე გრძელტოტიანი დიდრონი ხეებით იყო დაფარული, თითქოს ქოლგა გაეკეთებინოს ბუნებას.

მეურმემ გზატკეცილი დასტოვა და სოფლის ოღროჩოღრო გზას შეუდგა:

ეზოში რომ ჩავიდნენ, უკვე ბინდებოდა; ბაბუასა და მამიდას ალერსიც კი ვერ გაიზიარა დალილიმა სერგომ, და ეზოში ერთი-ორი შემოვლის შემდეგ დაიძინა.

გათენდა... სერგო წამოხტა, გამოეწყო. დედა ბარგს ალაგებდა, მამიდა ტასოს ქთიმები დაეპურებია და ქუეყებისათვის მოხარულ ჭინჭარში ღერღილს ურევდა. ბაბუა უკვე ვენახში გადასულიყო. ეზო ჯერ კიდევ ხეების გრძელი ჩრდილებით იყო მოფენილი. ბალახზე და ხის ფოთლებზე ცვა-რი ბრჭყვიანლებდა. ისმოდა ჩიტების ყრიამული. სერგომ დაღმართი ჩაირბინა და გზატკეცილისაკენ გაიხედა; არ მოსჩანდა არც გზა, არც მდინარე, არც გაღმა მხარე—ყველაფერი ნისლით იყო დაფარული, თითქოს აქ, სერგოს ფეხებთან, თავდებოდა ხმელეთი და იწყებოდა ჰაერი. ნისლი კი მოდიოდა მისკენ ზღაზენით. სერგომ იცოდა, რომ ასე ხშირად ხდებოდა მთებში, მაგრამ გაკვირვებით და სიამით უცქეროდა სანახაობას; მერე უკან გამოიქცა და ლოშეს მიადგა: იქეთ ძროხა იცოხნებოდა; აქედან კი ხბო მიდგომოდა და კუდს აქიცი-ნებდა.

სერგო მამიდასთან მიიჭრა.
— იქ ძროხაა!..
— ჰო, იყოს!
— ხბოს გადავიყვან მასთან.
— არა, აჰ—გაოცდა ქალი—გამოუძიძენის ძუძუებს.
— ჰამა რომ უნდა ხბოს?
— ძროხა რომ მოვწველე, მაშინ გამოვაწოვიე—ყყოფა.
— ძროხას არ შია?
— შია, მარა რა ვუყოთ, მწყემსი არ გეყავს, რომ გავაყოლოთ...
— მე წავიყვან—შენ ოღონდ მითხარი, სად არის საბალახო.
— აჰ, შვილო, შენ მაგის ხელობა არ იცი... რქა რომ ამოგკრას, რაღა უთხრა მამაშენს, ქალაქიდან რომ ჩამოვა... შენ თვითონ ჰამა არ გინდა?

— კი, მამიდა...

— აბა წადი და ჭიქა ჩამომიტანე, დედას პური გამოართვი და აქ რძეს დაგისხამ, — ქალმა მიუთითა კერძისთან მიმდგარ მოჩუხჩუხე რძით სავსე თიხის ქოთანზე.

სერგო გაიქცა და უეცრად გაკვირვებული გაჩერდა.

— ეს რაა, მამიდა? — ბალახი მოდის, ბალახი?!

მართლაც ჭიშკარში თავისით შემოდინდა დიდი ზვინი.

ეს ბაბუაშენია, ბიჭო, ბალახი მოაქვს ძროხისთვის — გაეცინა მამიდა ტასოს.

სერგო ჭიშკრისაკენ გაიქცა და გვერდში აეტორღილა ბალახის ზვინი. ახლა საკვირველი აღარაფერი იყო — ბაბუას იმდენი ბალახი მოჰქონდა, რომ თავიდან ფეხამდი დამალულიყო. ბაბუამ ბალახი ძროხას დაუყარა და მიწვა.

— ბაბუა, ისევ იძინებ? — შეეკითხა სერგო.


— არა, ბიჭუნო... დავისვენებ ცოტას, შენს აღვამამდე მე რამდენი გავაკეთე... — დავბერდი, ბაბუა, დავბერდი...

სერგომ ისაუბრა და დედას ანკესი და ბაღე მოსთხოვა.

— მოიცა, ბიჭო, საღდაც ბარგშია გახვეული, მომხვედება ხელში და მოგცემ.

სერგო ისევ ლობე-ყორეს შოედვა. მოიარა საჭურე, ბელელი; საწნახელში ჩაიხედა; შემდეგ კლდეზე გადადგა. ნოსლი გაფანტულიყო. თხემი მზით იყო გაბრწყინებული. შორს მოსჩანდა მთის ირგვლივ არშიად შემოვლებული გზატყევილი, გუშინ რომ გამოიარეს. ისმოდა მდინარის დაბალი გუგუნო. მდინარეს გაღმა კი იშლებოდა ყანები, ტყით დაფარული გორაკები და შავად გამომცქერალი ნანგრევი.

ბაბუას ეზოს მარჯვნივ სხვისი ეზო საზღვრავდა. იქ გადასვლა მოერიდა. მტვრიანმა სოფლის გზამაც ვერ მიიზიდა. გაჰყვა ლობეს. ერთ ადგილას ლობე ჩაწნეპილიყო ბიჯგი ჰქონდა გადასასვლელად მიდგმული და შემდეგ ბილიკი მიდიოდა. გადახტა; გაჰყვა ბილიკს, რიკრიკი მოესმა. კიდევ ორიოდ ნაბიჯი, — და პატარა წისქვილს წააწყდა. ასეთი რამ არასდროს ენახა: არც სათავე ჰქონდა წისქვილს და არც არხი. პატარა რუ მთლიანად ხის ლარებში იყო მომწყვედილი და იქედან წყალი პირდაპირ სცემდა ბზრიალსავეთ ჩასმულ ბორბალს. ისლით დახურული წისქვილი დიდ კარადაზე მეტი არ იქნებოდა. ირგვლივ შემოუარა; კარი გადარაზული დახვდა; შეაღო;



ყველაფერი ჩვეულებრივი იყო: საფქვავის ქვა ტრიალებდა და ფქვილს აფრქვევდა; ქვის შუა ღრუში ვარდებოდა სიმინდის მარცვლები... ოღონდ ყველაფერი ისეთი პატარა იყო, თითქოს სათამაშოაო.

რუს მეორე მხარეზე სწორი ადგილი იყო თუთუნით დათესილი და თუთუნის იქეთ ფართო მინდორში ჩრდილში ისხდნენ ბავშვები და თამაშობდნენ.

აქვე იყო მიბმული უღელი ხარი და ერთი ძროხა, ფერდობზე ბალახობდნენ ბატეში, ცხვრები და დაბორკილი ორი თხა.

ბავშვებს ცოტა ერიდებოდათ. თამაშობდნენ რალაც უცნაურ სათამაშოს. სერგო მაინც უახლოვდებოდა და ამ თამაშს უცქეროდა.

ბავშვებმა რამდენჯერმე ახედ-დახედეს.

— შენ ისა ხარ, გუშინ რომ ბაბუა ღენტორთან ჩამოხედი? — შეეკითხა ერთი ბავშვი, ეტყობოდა სხვებზე თამამი იყო.

— მე ვარ...

— ქალაქელი ხარ?

— ჰო. ცოტა სიჩუმის შემდეგ იმავე ბავშვმა ჰკითხა:

— თამაში იცი?

— ეს თამაში არა, არ ვიცი.

— დაჯექი, გასწავლი, თუ გინდა, კენჭობას...

სერგო ჩაჯდა.



თამაშში სერგო ნიჭიერი გამოდგა: ანას-
როლ კენჭებს მოხერხებულად იჭერდა.
შემდეგ გადავიდნენ ჩხორბიაზე: „ქორო
ბუდეც დაგინჯრევ... მე წიწილას წაგართმევ“
სერგოს მოეწონა. რიკ-ტაფელამ თავი მოა-
ბეზრა: წაგებულნი ყოველთვის ის რჩებოდა
და იძულებული ხდებოდა მოგებულნი ბავ-
შეები ცხენივით ზურგზე ეტარებინა „კვა-
ტელა, კვატელას“ ძახილით.

— თქვენ რა თამაში იცით ქალაქელებ-
მა? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა.

- ბევრი...
- მაინც?
- ფუტბოლი მაგალითად.
- ეს რა თამაშია?
- ფეხბურთი.
- მერე და ვითამაშობ...
- ბურთი რომ არა გვაქვს?
- როგორ არა, მოიტა კოტე, შენი
ბურთი.

— ეს არ ვარგა. პატარაა, ბურთი, გაბე-
რილი უნდა იყოს.

— გამოიგონებ შენც ერთი. გაბერილი
ბურთით — გაგონილა?! დასცინა ბიჭმა.

სერგო გაიბუტა.

მერე უეცრად მოაგონდა:

- ვივარჯიშობ...
- როგორ?
- აი, დავეწყობთ წითელარმიელებივით
და ჯოხებით ვივარჯიშობთ, როგორც თო-
ფებით, თან მწყობრად ვიარობთ, ჩავჯდეთ,
გადავხტეთ...

ოღნავის უნდობლობით ბავშვებმა გა-
შოლტეს, მომსხო ჯოხები, ზოგს კომბალიც
ჰქონდა და დაირაზმნენ.

სერგო მეთაური გახდა.

მალე შეეჩინნენ თოფის ჭერას. ზურგზე
გადიხას, წელგაუხრელად წვივებზე ჩაჯ-
ლომას და ადგომას, მკლავების გაშლა-
შეკეცას, მაგრამ უჭირდათ მწყობრი წრის
შემობრუნება. ბავშვები მაინც ისე გაერთ-
ნენ, რომ დაშლაზე არ ფიქრობდნენ, სანამ
ვიღაც ქალმა ქედიდან არ გადმოსძახა:

— ბიჭო, კოტე, აღარ მოგშივდა, რომ
დაიკარგე? რას აკეთებ მანდ?

ბავშვები მიიფანტნენ. ზოგი ბატებს ეცა,
ზოგი ცხვარს, ზოგმა ფიჩხი მოიკიდა ზურ-
გზე, ზოგმა მიბმული ძროხა მოხსნა, მაგ-
რამ მაინც არ დაავიწყდათ დაეძახნათ აღ-
მართში სირბილით მიმავალ სერგოსთვის:

- ნასადილეგს ჩამოდი...
- მოვალ, მოვალ...
- წიგნი ჩამოიტანე, წაგვიკითხავ...
- კარგი, მოვიტან.

ერთ კორტონზე სერგო შეჩერდა და, რაც
ძალი და ღონე ჰქონდა დაიძახა.

— იყავით მზად!
და ბუჩქებში, ღობეებზე, როს პირობა
გაისმა სერიოზული: მწერთა კავშირი
— მზად ვართ. * * *

ზაფხულმა გაიარა, ახალგაზრდობამ სკო-
ლებს მიაშურა.

პიონერთა ოთახის კუთხეში ჭადრაკს თა-
ნაშობენ. შუაში ბერავენ ბურთს.

ერთი, ორჯელ კი მოასწრო კოტიკომ
კროკეტის ჩოგნის გასათლელად ნაჯახის
მოქნევა, რომ მიაძახეს:

— გარეთ გათალე — რა გაგვასურუე!... —
კოტიკო გარეთ გავარდა.

ფანჯარასთან ზის ხუთი ბავშვი და სერ-
გოს და ვანოს შეჯიბრზე მუსაიფობენ.

სერგო ფიქრობს, რომ შეჯიბრი წააგო,
ვანოს ბეჯითად უმუშავნია: კოლექციისათ-
ვის ჩამოუტანია უცხო საღებავები, ზღვის
ფერადი ქვები, ლოკოკინები; ნახატები
ხომ კიდევ უკეთესია: კარგია კალოობა კა-
ზაკების სოფელში („სტანიცაში“), საყუ-
რადლებოა ესენტიუკში დადგმული ქანდაკე-
ბა „გლეხი“. ბავშვები დაინტერესა ყაზ-
ბეგის ძეგლმა, მაგრამ ყველას სჯობია ხა-
ზით შუაზე გადაყოფილ დიდ მუყაოზე და-
ხატული სურათი „წინათ და ახლა“:

წინათ: მშვენიერ ბაღში დგას ორსართუ-
ლიანი მდიდრულად ნაშენი აგარაკი. სახლი
თითქმის ცარიელია; მხოლოდ ბაღში ზის
დასვენებელი შუახნის ცოლქმარი —
ვაჭრები უნდა იყვნენ, — და მათ შორის
სკამზე წამოშდარა ვეებერთელა ძაღლი,
რომელიც შესცქერის, თუ როგორ უგემუ-
რად სვამენ ყავას მისი პატრონები.

ახლა: იგივე ბაღი, იმავე სახლით, მაგრამ
ეზო საფსეა მოთამაშე ბავშვებით.

„ვანომ ხატვა ჩემზე უკეთ იცის... ამა
რას შეედრება, თუნდაც არაჩვეულებრივი
სიდიდის გვიმბრა, შავი პარკი და რაღაც
ულაზათო დახატული ბებერი ბაბუა?.. მაგ-
რამ პატარა ფაცხა რომ მოვაწყეთ... იმედი
ეძლევა ზოგჯერ სერგოს — ეს ხომ კლუბსა
ჰგავს?!“

— ეს რაა? — ეკითხება მსაჯულთა თავ-
მჯდომარე, და მიუთითებს სურათზე, რო-
მელზეც მოხუცებულ კაცს შემოხვევია
ათიორდე პირდაღებული ბავშვი.

— ეს ბაბუაა... ერთ დროს დიდი მაგლო-
ბელი ყოფილა... გვასწავლიდა სოფლის
ბავშვებს... მე შევეხვეწე და ყოველ დღე
გვამღერებდა.

— განუმარტა სერგომ — ჯერ ეზოში, მე-
რე ჩვენს ფაცხაში.



— რა ფაცხაში?
 — სოფლის გოგო-ბიჭებმა მოვაწყეთ ბაბუს ბელმძღვემ.
 — მერე, მერე?—ჩაპკითხა ხელმძღვანელმა.
 — მერე ორჯერ საღამო გავმართეთ, მთელი სოფელი დაგვესწრო... ოღონდ სოფელი ძალიან პატარაა,—სულ 11 კომლია.
 — ეს რატომ არ გვიაშბე პირველად?... მოიცა, მოიცა... ეს შენზე ხომ არ იყო დაწერილი?—და ხელმძღვანელი მეორე ოთახში გავიდა.
 ბავშვებმა დაცქვიტეს ყურები.
 — რა მოაწყვი? რა იყო? სთქვი, გარკვევით.



ბაბუს ბელმის ქვევით ფაცხა შელობილი, იქ ზამთრობით ინახავენ ბზესა და ფუჩიხს. ზაფხულობით ცარიელია. საბძელს უძახიან. იგი დავასუფთავეთ, კედლებზე გავაკართ ვაზეთებიდან ამოჭრილი სურათები, კუთხეში მივაცუღეთ ჩვენი პიონერული დროშა; შევეკრიბეთ, სადაც ვისმე წინგები მოგვეპოვებოდა და იქ გვასწავლიდა ბაბუა სიმღერას... ჩვენც ვავიზებირეთ ზოგმა ლექსი, ზოგმა სიტყვა ვთქვით, დიდებიც გვესწრებოდნენ...
 ხელმძღვანელი შემოვიდა, ხელში გაზეთი ეჭირა.
 — აი რას სწერს ვილაც მოგზაური:
 „სოფელ არალეთში ჩამოსულა პიონერი; ამ ბავშვს შემოუკრებია თავის ტოლი გო-


გო-ბიჭები; მათ ამოუშვრიათ გზის მარჯვენა მხარეს მყოფი ბინძური გუბეები, შეუსწორებინათ სოფლის შუკები, დაუსუფთავეს იათ ყველა მოსახლის ეზო და დაუარსებიათ საბავშვო კლუბი... აქ წინათ საკირეები და სანახშირეები ყოფილა, და დარჩენილ ორმოებში დაგუბებულა წვიმის წყალი, რომელშიც კოლო და ბაყაყი გამრავლებულა... მოსახლეობა და განსაკუთრებით ბავშვები, ამ პატარა ბიჭს დიდად აქებენ. სამწუხაროდ, ვერც მისი სახელი გავიგე და ვერც მათი ნამოქმედარი ვნახე — მეჩქარებოდა ძლიერ“...
 — მოგვიყევი მაინც დაწერილებით, რა იყო?—შეუწყინენ ამხანაგები.
 — ჯერ ბაბუა წინააღმდეგი იყო,—სერგომ აღელვებით არ იცოდა რით დაეწყო ამბავი და რაც მოაგონდა ისა სთქვა, — მაგრამ როცა ბალის მოკრეფაზე მოვეხმარეთ, კალათებში ჩაუწყეთ — დაგვთანხმდა; ეკალი, გვიმბრა, ანწლი რომ ავთხარეთ და ეზო დავგავეთ, მოგვიალერსა და ქლიავით კალათები აგვივსო. შემდეგ ერთი დედაბრის ეზო მოვწმინდეთ, სულ ბალახბულახით და ნაგავით იყო საესე. აქა-იქ ჩამტვრეული ღობე შევუკეთეთ, ძველი ფაცხა წაატევაზე იყო, აღარაფრად ვარგოდა — ის დავარღვეეთ და ფიჩხი კარის ყურეში დავუწყეთ, იმდენი გვლოცა იმდენი...
 — ხა, ხა, ხა! გაიცინეს ბავშვებმა.
 — ეს ხომ მისებური მადლობა იყო და რას ვეტყვოდით.
 — გუბეებიც თქვენ ამოაშრეთ?
 — არა, პო... მათ ამოშრობაში დიდებიც დაგვეხმარნენ... ოღონდ ჩვენ დაეძწყეთ.
 — მაშ შენ ყოფილხარ ის პიონერი, რომელზეც ეხლა წავიკითხეთ, ყოჩაღ, ყოჩაღ! წაათამაშა ხელმძღვანელმა — სოფელი ამხანაგებიც ყოჩაღები ყოფილან.
 — კარგი ბიჭები—დადასტურა სერგომ.
 — უნდა დავეხმაროთ, კავშირი არ უნდა შეეწყვიტოთ,—ჩაუთოთო ვანომ.
 — მართალია, მართალია დაემოწმენ სხვები.
 — რამე გავუგზავნოთ... აი, თუნდა წიგნები—ჩქარობდნენ ბავშვები რჩევის მიცემას.
 — რამდენია სულ ბავშვი?
 — სოფელში 17-ზე მეტია, ჩვენთან კი თერთმეტი იყო: ექვსი ბიჭი და ხუთი გოგო.
 — მოდი ეს კითხვა კრებაზე გავარჩიოთ და გადავწყვიტოთ, თუ როგორ ვიმოქმედოთ, ვის მივმართოთ.
 — უსათუოდ აჯობებს... კრების გადაწყვეტილებას მეტი ძალა ექნება.



ერთი ქუჩის მოსახვევში,
დიდი სახლი იდგა კენტად.
იქ ცხოვრობდა ერთი თომა,
ის ჯიუტი იყო მეტად.
ჯიუტ თომას არა ჰქონდა
არავისი სიტყვის რწმენა:
რაც არ უნდა ეთქვათ მისთვის,
ის იტყოდა: — სცდებით თქვენა!
თოვლტყაპია საშინელი,
ატალახდა ერთობ გზები
და ურჩევენ ჯიუტ თომას:
— დღეს ჩაიცივი კალოშები!
— ტყუილია, არა მჯერა!
იგი მშობლებს ეუბნება
და ტლაპოში უკალოშოდ
მიაბიჯებს ნება-ნება.
ზოგს ჩაუცვამს თბილი პალტო,
ზოგს ცხვრის ქურჭი, ზოგს მაზარა.
— ზამთარია! — უთხრეს თომას,
ის იძახის: — არა, არა!
და ყინვაში სასეირნოდ
მოკლე შარვლით გაიპარა.
ერთხელ შეხვდა ზოობაღში
სკოლის ამხანაგი ილო,
თომას უთხრა: — ხედავ ხორთუმს
როგორ კარგად ხმარობს სპილო?
თომამ ასე უპასუხა:
— ტყუილს ამბობ სასაცილოს!
არა მჯერა, ეს ცხოველი
სრულიადაც არ ჰგავს სპილოს!

ერთხელ თომას დაესიზმრა,
ვითომ აფრიკაში არი,

მზე ვარვარებს უცნაურად,
სიცხით იწვის მთა და ბაოი.
და მდინარე, დიდი კონგო
მოდის მდორე მომდინარე.
მდინარესთან პიონერთა
მთელი რაზმი შეკრებილა:
ჯიუტ თომას ამხანაგი
ეუბნება: ფრთხილად ფრთხილად!
მდინარეში ბანაობა
არის მეტად სახიფათო,
შიგ ცურავენ ნიანგები,
ხედავ, უჩანთ პირი ფართო!?
თომა ამბობს: არა მჯერა!
არც კი მიწა გეკამათო!
ტანსაცმელი გაიხადა,
ბანაობა მოისურვა,
ნიანგებში გაერია
და დაიწყო მათთან ცურვა.
აგერ ნიანგს, უზარმაზარს,
უკვე დაუღია ხახა:
— იღუპები თავს უშველე!
ამხანაგმა დაუძახა.
მაგრამ თომამ გულმოსულმა,
სწრაფ პასუხი მიაგება:
— მე გახლავარ თერთმეტი წლის,
არ მჭირდება დარიგება!
ეს მოასწრო და ნიანგმა
გადაჰყლაპა საცოდავი,
უკვე მხეცის ხახაშია,



მარტოდენ უჩანს თავი.
ხედავს ველარ გადარჩება,
მაგრამ ის კვლავ ჯიუტობს ჯერ;
მისუსტებულ ხმით იძახის:
— ტყუილია მე არ მჯერა...
არსაიდან აღარაა
თომასათვის ხსნა და შველა
და ნიანგი, კმაყოფილი,
ძირს ეშვება ნელა-ნელა.
დიდ მდინარის ზედაპირზე
სიმშვიდეა უკვე სრული,
ჯიუტ თომას ტანსაცმელი
ჩანს ქვიშაზე მიგდებული.

გაეღვიძა ამ დროს თომას,
ველარათერს ველარ იგებს;
სკამზე გადადებულ ხალათს
ის მთრთოლვარე ხელით იღებს.
თომა გაკვირვებულია,
იგი გულმოსული არი,
გაიძახის:—არა მჯერა,
არ ყოფილა ეგ სიზმარი!

— . —

ყმაწვილებო, ნუ დაზოგავთ
ამ საქმისთვის მცირე შრომას:
თქვენ ეს ლექსი წაუკითხეთ,
სადაც შეხვდეთ ასეთ თომას.





(ნამღვილი ამავენი)

— ეს ვიოლიონო შენიღვენა ბიჭმა მაჩუქა, ირაკლი,— ვუთხარი ჩემს პატარა ძმას, როცა მას ჩემი სამსუქარ ოთახიდან ვიოლიონოს შავი ბუდე გაჩოჩანა.

— მართლაც შენიღვენა თუ იქნებოდა. შენსავით შავი თმა ჰქონდა, შშვიდი თაფლისფერი თვალები. „გავროში“ შეერქმიათ ბისტვის ჩვენს პარტიზანულ რაზმში. ნამღვალი სახელი, რომ იგვიოთხა ვერც კი იტყოდნენ.

ვადიკიდებდა ამ ბუდეს და ვაჭკრებოდა სადღაც... სამი, ოთხი დღის მერე გამოჩნდებოდა, თან ათასნაირ ცნობებს მოიტანდა. პირველად შეგონა ბუდით საჭმელსა და იარაღს ატარებდა, მაგრამ შემდეგ გავიგე, თურმე ვიოლიონოთი ატყუებდა ფრიცებს, თავს მოხეტიალე მუსიკოსად ასაღებდა.

ძმას ვიოლიონო გამოვართვი. გაწყვეტილ სიმს დავხედე. მერმე სარკმელი გავაღე გარეთ გავიხედე.

— ირაკლი ხედავ თოვს, თოვს და თეთრად იფარება ტრამალი. ჰოდა, მაშინაც ასე თოვდა, ხეებს ცვივოდა ყვითელი გამხმარი ფოთლები და ჰაერში ფართხალებდნენ დამფრთხალი პეპლებივით.

წინა დღით ნაოძარი მებრძოლები ძელმიწურში ვისვენებდით. „გავროში“ შემოვიდა მიწურში ყინვისაგან ლოყებაწითლებული—ახლახან მოსულ იყო დაზვერვიდან, სიხარულით ვერ ისვენებდა, კარგი ამბები მოეტანა თურმე.

ჩემთან მოვიდა.

ნაწილში მის შემდეგ ასაკით ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. ამიტომ ჩვენ უფრო ვმეგობრობდით ერთმანეთს. მაინც ძისა მძებდა, ვუჯავრდებოდი, არ იშლიდა.

ერთხან იჯდა ჩემს გვერდით მაზარაზე, ბერმე; რა შეატყო ყველანი ვდუმდით, ბუ-

დე გახსნა, ვიოლიონო ამოიღო და აამეტყველა.

სევდიანი ჰანგები გაიბნენ მიწურში. რამდენიმე პარტიზანს ცრემლი მოადგა კედეც. „გავროში“ კი უჯრავდა, უჯრავდა და ძე ვგრძნობდი, თუ როგორ ცემდა სიმების ხსაურთან ერთად ძისი პატარა გული.

ბოლოს დადუმდა ვიოლიონო, შავი ბუდე ისევ დაიხურა. პატარა ხელები დაიორთქლა „გავროში“ და ჩურჩულით მითხრა:

— ძია როდამ, ეს ჰანგი ყველაზე უფრო უყვარდა ჩემს დედილოს, როცა კვდებოდა ძაძინ მთხოვა დაბეჭრა, დავუკარი და...

„გავროში“ ზე წამოიჭრა.

— საით?— ვკითხე მე.

— დავალება მაქვს.— თქვა და მიწურიდან გაჭკრა ძისი აჩრდილი.

სამი კვირა გავიდა გავროში არსად სჩანდა. ვწუხდით ყველანი. ეჭვი არ ყო, ცუდად ჰქონდა საქმე.

ჰოდა, ერთ დღეს დავალება მივიღეთ გავგეწმინდა № სოფელი ფაშისტებისაგან.

იცეცხლითა და მახვილით შევიჭერით კომუნდატურის შენობაში. ცარიელი იყო. გაქცეულან თურმე. კომუნდანტის მაგიდაზე, შავი ბუდე შევნიშნე. შემინებული მივიჭერი მასთან. გავხსენი, შიგ გავროშის ვიოლიონო ვიცანი. ერთხანს გარეტიანებული ვიდექი, მერე რაზმის უფროსის ხმა გამომარკვია.

„ჩემთან წამოდიო“— მიბრძანა მან.

ბუდე ილიაში ამოვიღე, უკან გადავვი მას. ეზო გადავჭერით და პირდაპირ მდებარე ხის სახლში შევედით. სიღამის სუნი მეცა. აღამიანთა დასაშირებულ გვამებს დავფარა ოთახის დატაკი. პირდაპირ მებრძოლებს რკალი შეეკრათ. ჩვენს მისელოს-

თანვე ისინი ორად გაიყვნენ და მაშინ შე-
ვნიშნე თივაზე მწოლარე ბიჭი.

ორმა მედიცინის დამ საკაცეზე დააწვინა
ის და, როცა საკაცე მე გამისწორდა, ვი-
ცანი.

— გავროში!— შევეყვირე.

მწოლარემ თავი ზევით წამოსწია, მშვი-
ლად გამიღიმა.

— დიდი ზევწით შემიშვეს საავადმყო-
ფო ოთახში.

რა დამინახა, ისევ წამოწია თავი, ხელი
მოუსვა ბუდეს, რაღაც წარმოსთქვა, კარ-
ვალ ვერ გავიგე. უფრო ახლოს მივიწიე და
მაშინ ჩიფჩიფით მითხრა:

— ძია როდამ, მომეცი ვიოლინო. —

მივაწოდე. ფრთხილად მოუსვა ხელი.
მერე საწოლში წამოყენება მთხოვა.
ფრთხილად წამოვაყენე მომაკვდავი და მა-
შინ ჯიბეზე მომისვა ხელი ფანქარი ამომა-
ცალა, აკანკალებული ხელით რაღაც დაწე-
რა ვიოლინოზე. მერე გულზე მიიხუტა ის
და ოთახში გაიბნა მისი ჰარმონიული ჰან-
გები.

ცოტა ხანს უკრავდა გავროში. უკრავდა
იმ ჰანგებს, დედამის რომ უყვარდა თურმე

ასერიგად. თვალები ცრემლებით ამევსო.
მზერა ავაშორე მას და გარეთ გავეხვედი.
თოვდა, თოვდა და თეთრად იფარებოდა
ტრამალი. ხეებს წყდებოდნენ უკანასკნე-
ლი, გამზმარი ყვითელი ფოთლები და დაშ-
ფრთხალ პეპლებივით ასკდებოდნენ ოთა-
ხის მიწებს.

მიწყნარდა ვიოლინოს მოთქმა, სულთმო-
ბრძაება ხელი მოუჭირა მას და მაშინ ისე
დაიკენესა ერთმა სიმმა თითქოს ის, „გავ-
როშის“ გადაცვლილი დედის გული ყოფი-
ლიყოს.

გაწყდა სიმი, მოკვდა „გავროში“.

მხო-
ლოდ მაშინ წავიკითხე წარწერა ვიოლინო-
ზე. ასე ეწერა: „ძია როდამს პიონერ „გავ-
როშისაგან“.

ზამთრის სუსხში დაეასათლავით გულა-
დი პიონერი უკრაინის ტრამალზე.

მე კი მის მერე გუგული ასერიგად ამ
ნივთს. დაეხედავ გაწყვეტილ სიმს და ჩე-
მი პატარა ძმა— „გავროში“ მომაგონდება.

ცრემლიანი თვალებით შემომხედა ირაკ-
ლიმ. ნელა დახურა ბუდე და ისევ ჩემს
ოთახში შეიტანა ვიოლინო.



მებრძოლის ხსოვნას



40 წლის წინათ ქუთაისში, ვერავლად მოჰკლეს ახალგაზრდა რევოლუციონერი — იცკა (აბრამ) რეინაშვილი.

იცკა რეინაშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1888 წელს ღარიბი ებრაელის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის იყო.

გარდა ამისა, იცკა, განსაკუთრებული გულკეთილობით გამოირჩეოდა. ერთხელ მას ბაბუამ ახალი წაღები უყიდა. ბავშვი ცას ეწია სიხარულით, მაგრამ სანამ მეზობელ თბოლ ბავშვსაც არ უყიდა იცკას ბაბუამ ისეთივე წაღები, იცკამ მანამდე ახალი ფეხსაცმელი არ ჩაიცვა.


იცკა ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, არა-ლერგალურ წრეში რომ დაიწყო მუშაობა. მუშაობდა დაუღალავად, თავგამოდებით. როგორც კი ხელში ჩაიგდებდა ახალ პროკლამაციას, მაშინვე წაგვიკითხავდა მასლობლებს.

იცკა ხელმძღვანელობდა 1904 წლის იანვარში მოსწავლეთა გაფიცვას ქალაქ ქუთაისში, რისთვისაც დაპატიმრეს და სასწავლოებლიდანაც გამორიცხეს.

1904 წლის ზაფხულში იცკა ლაიპციგში გაემგზავრა სწავლის დასაგრძელებლად. იქაც თავისი ჩვეული ენერგიით, შუღლიცა მუშაობას. ლაიპციგიდან რუსეთში იგზავნებოდა აკრძალული ლიტერატურა. იცკა ერთ-ერთი მონაწილე იყო ამ საქმეთაშის შემსრულებელთა შორის. იცკას ჯიბეში ხშირად უნახავდით გაზეთ „ისკრას“ ამიტომ იყო, რომ ამხანაგებმა მას მეტსახელად „იცკა“ შეარქვეს.

1905 წელს რუსეთში გაძლიერდა რევოლუციური მოღვაწეობა. შეიტყო რა ეს საზოგადოებით იცკამ, დაუყოვნებლივ გამოემგზავრა საქართველოში. აქლავ განაგრძობდა თავის საყოველთაო საქმეს — რევოლუციურ მოღვაწეობას. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საყოველთაო პრობაგანდისტი და იშვიათი ორატორი. მუშაობდა განსაკუთრებით რუსული ჯარის ნაწილობაში. ხაზიორსკი პოლიციის კაზნაყებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში ითა ყოველთვის ახირობდა ჯაშუშებს ხელიდან დასხობრობოდა.

1905 წლის რევოლუციის დღეებში იცკა ქუთაისში მეთაურობდა საგანგებო რაზმს და იარაღით ხელში იბრძოდა ბარიკადებში. შიუდრეკილი, უშიშარი, ორმა რწმენით გამსჭვალული, რომ თაემზობა მეფის მთავრობა და გაიმარჯვებს რევოლუციას, მაგრამ, როგორც ვიცით, მაშინ, დროებით გაიმარჯ-




ვა რეაქციამ. დაიწყო დევნა რევოლუციურ მოძრაობაში შემხნეულ პირებისა. იცკაც სხვა ამხანაგებთან ერთად თავს აფარებს დროებით ქალაქ სევასტოპოლში, შემდეგ ქალაქ ოდესაში, მაგრამ ვერც იქ ისვენებს. ამხანაგები ურჩევენ არ დაბრუნდეს საქართველოში; არ უჯარებს მათ და 1905 წლის ზაფხულში კვლავ ქუთაისშია. იმალება, მაგრამ პოლიცია მაინც შეიტყობს მის დაბრუნებას და სისტემატურად ჩხრეკენ მის ბინას. ჯაშუშები რამდენჯერმე ღამით „ესტუმრნენ“ იცკას დის სახლსაც.

ველარ გაუძლო პოლიციის ასეთ დევნას იცკა რეინაშვილმა და 17 ივლისს გადაწყვიტა დაეტოვებინა ქუთაისი, მაგრამ მან ვერ მოახერხა გაპარვა, რადგან პოლიციასაც არ ეძინა. იმავე საღამოს 6-7 საათზე, გავიდა თუ არა იცკა სახლიდან, „გოროდოგოი“ დობოინსკი ტყვიით ჰკლავს თავდადებულ მებრძოლს იცკა რეინაშვილს.

რამდენიმე დღის შემდეგ იცკას მკვლეელი მოჰკლეს რევოლუციონერებმა კამოს მიერ ჩამოტანილი ტყვიით.

მძვინვარებდა რეაქცია. გამოცხადებული იყო საალყო წესები. პოლიცია და ცხენოსანი რაზმი არ შორდებოდა იცკას ბინას. ტირილის ნებას არ აძლევდნენ. მაგრამ ამხანაგებმა განსვენებული მაინც ღირსეულად დაასაფლავეს.

რ. თაყლიდიშვილი



(პიესა ოთხ მოქმედებად და 7 სურათად)

მოკმელება მისამე.

სურათი მეოთხე

(იგივე დეკორაცია... ღამეა. ვიტია და რეზო საწო-
ლებში არიან... კარებში თავს შემოპყობს მანანა).

მანანა — ბოდიში... შეიძლება?

რეზო — ვინ არის?

მანანა — ეს მე ვარ... რეზო, უცვე წევხართ?

რეზო — ვერა ხედავ? რა გინდა?

მანანა — ძია გიორგიმ საათი ნახა?

რეზო — რა შენი საქმეა ნახა თუ არა, მეტიჩარა...

მანანა — ბოდიში... დედა ხომ აქ არის?

ვიტია — აქ არის...

რეზო — ბოდიში... დაგვაძინე, არ გესმის?

მანანა — ღამე მშვიდობის. (გადის სამზარეულოსა-
კენ).

რეზო — მშვიდობით ბრძანდებოდეთ... (ვიტიას)

რას დაგიჟყეტია თვლები?

ვიტია — მერე და მე რას გიშლი რეზო? შენ დაი-
ძინე, მე არ მეძინება...

რეზო — შენი საქმე არაა, დავიძინებ თუ არა...
დაახ დავიძინებ, მთელი დღე და ღამე ვიძინებ, ახლა
რაღა გინდა?

ვიტია — მერე სკოლა?

რეზო — შენ არავინ გეკითხება, მინდა წავალ,
მინდა დაგორები...

ვიტია — რა გინდა რეზო, რაზე ბრახდები?

რეზო — რაზე ებრახდები... წივების კითხვა მო-
მინდომა... რად აიღე, ჩქარა დადე...

ვიტია — აჰა...

რეზო — ჰო და აგრე...

ვიტია — ჩემი სახლი მომაგონდა... ჩემი დედიკო...
მამას რომ საპროექტო ნახაზებში მუდამ შეელოდა და
ხანდახან რომ თავზე დაათენდებოდათ... ჩემი ტკი-
ლი და საყვარელი ბებიკო, ზაფხულის მთვარიან ღა-
მეს არყის თვალუწვდენ ხის ძირას რომ გვიამბობდა
ჯადოსნურ ზღაპრებს, ჩემი მურია... იცო რეზო,
როდესაც თვითმფრინავები ჩვენს ქალაქს თავს
დაესხნენ, უნდა გენახა რა ამბავი იყო.

რეზო — რა?

ვიტია — თვითმფრინავების მოტორების გუგუნე
აქაურობას აზანზარებდა, დედა შინ არ იყო. როდეს-
საც დაერწმუნდი, რომ დედას ვეღარ ვნახავ მეტეი,
მეც სადგურისაკენ გამოვიქეცი, მოვბოლოდი და უკან
ჩვენი მურია მომდევდა, მომდევდა და თან ყუფდა,
წიკმუტუნებდა, სადღურზე მისელისას ხალხით აღვივრ-

თულ დაძრულ მატარებელს კიბეზე შევასხტი... მატა-
რებელმა სვლას უმატა, მურია კი მომდევდა და
წიკმუტუნებდა, უცბად ყველაფერი შავად დაიფარა...
სამი გამანადგურებელი მოსდევდა ჩვენს მატარებელს.
უცბათ ყუმბარის ტალღამ მურია პაერში აიტაცა, და
იქვე დაანაცხა. თუ ოდესმე ჩემს ქალაქში დავ-
ბრუნდი იმ ადგილს შევქველად ვნახავ...

რეზო — შენ ეს მითხარი: თვითმფრინავები თუ
გინახავს...

ვიტია — მინახავს...

რეზო — კარგია, საინტერესოა?

ვიტია — საინტერესოა, როცა მტრის თვითმფრი-
ნავი ალში გახვეული ძირს უთავბოლოდ მოდის, და
მიწას ენარცხება... ფეფქდება...

რეზო — კი მაგრამ რა ფეფქდება?

ვიტია — როგორ თუ რა, ბენზინის ავზი, საომარი
მასალა...

რეზო — მფრინავი?

ვიტია — მფრინავმა თუ მოასწრო პარაშუტით
ძირს ეშვება...

რეზო — ეჰ, თბილისში კი ასეთი რამ სრულებით
არ ყოფილა...

ვიტია — მერე გწყინს?

რეზო — აჰა რა! ერთი შორიდან მაინც მენახა...

ვიტია — კინოში მაინც არ გინახავს?

რეზო — სთქვა, რა! ნამდვილი უნდა ნახო, თო-
რემ კინოში რა... (პაუზა. გაჯაერებული). სჯობია
დავიძინოთ.

ვიტია — კარგი დავიძინოთ...

(პაუზა, შემოდის გიორგი საღათით).

გიორგი — სძინავთ! ვსთქვით ვიტამ აიღო საათი,
მერე სად წაიღო? არა, ტყუილად გეჭვიანობ... (რეზოს)
შენ კი უფრო ეშმაკი ხარ, მატყუარა და ნებევრად
აღზრდილი, თუმცა ასეთი რამ შენ ხომ არასოდეს ჩა-
ვიადენია... როგორ მითხრა? შენ ვიტია უფრო გიყ-
ვარს ვიდრე მეო, შურიანი. ორთავეს სძინავთ მშვი-
დად და არხეინად.

სასთუმლის ქვეშ არაფერია... (ელენეს თეთრეული
გამოაქვს, მოყვება მანანა).


ელენე — სახლში წადი მშვილო, მეც მსლე მოვალ...
(მანანა გადის).

გიორგი — რას იტყვი ელენე, შენ როგორც კეთი-
ლი მეზობელი.

ელენე — რის შესახებ გიორგი?

გიორგი — ამ ორში რომელია დამნაშავე?

ელენე — მაგის თქმა მეტად ძნელია, ხომ გაგიგო-
ნით: ქურდმა ერთი ცოლვა ჰქნა და დამკარგავმა —
ათასიო...



გიორგი — არა ელენე, შენ მაინც რომელზე ვე-
ვობ, მითხარი, ნუ მომეტილები.

ელენე — ვერაფერს ვატივებეულო გიორგი
(გაღის).

გიორგი — უკვე გვიანაა... ძილის დროა... არაფე-
რი არ გამოდის (გაღის).

რეზო — წაივინენ... სძინავს... მამამ სთქვა ვი-
ტიანზე ტყუილად ვეპვიანობო... ესე იგი დარწმუნე-
ბულია, რომ საათი მე მაქვს, რომ მოსძებნოს და ნა-
ხოს? ხომ მე დამაბრალებს? მუსიკალურ სასწავლე-
ბელში უნდა მიმბარონო, ახლა ამაშიც უნდა მავო-
ბოს, მაინც მეუბნებიან: მაგალითი ვიტყვიან აიღეო,
არა, რად უნდა მავობნიდეს მე ქუჩიდან მოყვანილი
ვიღაც უბატრონო ბიჭი, მუდამ ამაზე შეჩიხინებთან:
ლონთაც ვავობნის და კეთილაცო... მამიდაჩემმაც
ამისკენ იბრუნა გული, ვნახოთ როგორც მავობებს...
(სათს იღებს), რა გეყო ამ საათს, სად წავიღო...
არა, აქ არ ივარგებს, არც აქ, ყველას სჯობია ჯი-
ბეში... (ვიტიას შარვლის ჯიბეში უნდა ჩასდოს სა-
თი, შემოდის თეთრეულით ხელში ელენე).

ელენე — რატომ არ გძინავს რეზო?
რეზო — ისა... წყალი მწყურია... და...
ელენე — წყალი მაგიდაზე არა სდგას?
რეზო — უი... დეიდა ელენე, ნამძინარევი ვარ და
ვერ დაეინახე.

ელენე — ეს ვიტყვას შარვალია?
რეზო — ჰო!

ელენე — რა ამოიღე აქედან?
რეზო — არაფერი დეიდა ელენე.

ელენე — აბა რა ჩადე?
რეზო — დედა არ მომიკვდეს არაფერი...
ელენე — (შარვლის ჯიბიდან საათს ამოიღებს) მამ
ეს რა არის?

რეზო — მე რა ვიცი... დეიდა ელენე... ღმერთ-
მანი...

ელენე — ჩუმად... შენ გგონია ვერ დაგინახე? ახ-
ლავე მამაშენთან შევალ და ვეტყვი შენს კარგ ბი-
ჭობას... (წასვლას აპირებს).

რეზო — (შინ გადაუდგება) დეიდა ელენე, გეგვე-
წები არ წახვიდე...

ელენე — არა, უნდა ვუთხრა...
რეზო — დეიდა ელენე, მამატიე შენი ჭირიმე...
არასოდეს აღარ გიხამ, დეიდა ელენე, ვიტყვამ არ
გაიღვიძოს...

ელენე — უნდა გაიღვიძოს...
რეზო — არა... გეგვეწები დეიდა ელენე... მამა-
ტიე...

ელენე — შეგრცხვება არა?
რეზო — დეიდა ელენე, გეფიცები...
ელენე — მამაშენი მოდის... ჩქარა ჩაწევი...
რეზო — დეიდა ელენე, არაფერი უთხრა, შენი
ჭირიმე.. (წვება).

გიორგი — რა ამბავია?
ელენე — არაფერი... საათი ვიბოვე...
გიორგი — საათი? სად იყო?
ელენე — შარვლის ჯიბეში...
გიორგი — ა?
ელენე — (რეზოს გადახედავს) თქენი ძველი შარ-
ვლის ჯიბეში... რეცხვის დროს ვნახე... (აძლევს).

გიორგი — ძველი შარვლის ჯიბეში? შეუძლებე-
ლია...

ელენე — დიახ... დიახ... (პაუზა) უთომ თეთრეუ-
ლი არ დაწვას (ჩქარა გაღის).

გიორგი — სძინავთ... არაფერი არ მესმის... (გაღის).

რეზო — (საწოლიდან დგება, ტირილთ შიშის შინ-
ნარე ვიტყვასთან, ვიტყა იღვიძებს...).

ვიტია — რა იყო რეზო? არ გესმის? ცუდი სიზმა-
რი ხომ არ ნახე, რა გატირებს?

რეზო — არ ვიცი, მაგრამ ისე მეტირება, ისე... ისე
რომ...

ვიტია — დამშვიდდი რეზო, რა მოგივიდა, რატომ
სტირი?

რეზო — ისა რომ... მე შენთან დამნაშავე ვარ...
მამატიე ვიტია...

ვიტია — რა უნდა გაბატო?

რეზო — მე... არაფერს არ დავიძალავ... მე შენ
ყველაფერს გამიბობ... (კარებისაკენ მიდის, შემოდის
კოლია).

კოლია — სსს... ჩუმად... ხმა არ ამოიღოთ..

ვიტია — არაფრის წადება არ გაბედოთ...

რეზო — მამა... მამა...

ნინო — გიორგი, ქურდები... გიორგი...

რეზო — მამა...

კოლია — ოხ შენი... (წაიწვევს დანით რეზოსაკენ),
რეზოს დასაცავად წინ ვიტია გადაუდგება, მოქნეული
დანა ვიტყვას მოხვდება, კოლია და მიშა გარბიან).

ვიტია — დედა...
გიორგი — რა მოხდა?
ვიტია — ძია გიორგი...
რეზო — ვიტია დასჭრეს...
გიორგი — ვიტია?
ვიტია — ძია გიორგი... დედა... (დაეცემა, გიორგი
ხელს შემოიხვევს).

სურათი მესამე

(იგივე დეკორაცია, საღამოა. ვიტია რეზოს საწოლში
წევს. შემოდის გიორგი ფეხაკრეფით. ნინო ვიტყვას
საწოლთანაა).

გიორგი — როგორ არის?

ნინო — (აწყვეტილებს) სსს... ჩუმად... სძინავს...
არ გააღვიძო...

გიორგი — სიცხე რამდენი აქვს?

ნინო — ოცდაჩვიდმეტი და სამი ხაზი.

გიორგი — სსს... იღვიძებს...

ვიტია — წყალი...
ნინო — ახლავე.
გიორგი — როგორა ხარ ვიტია?
ვიტია — კარგად ძია გიორგი... ეს რა არის?
ნინო — მურაბიანი წყალია, უფრო გესიამოვნება,
ბირს გამოვიკეთება.

ვიტია — გმადლობთ... (სვამს).

გიორგი — კიდევ გაწუხებს მკლავი?
ვიტია — არა ძია გიორგი... სრულებით აღარ
მტკივია...
ნინო — ექიმმა სთქვა სულ მალე ადგებო...
ვიტია — მეც ასე მითხრა...
რეზო — (წამალი მოაქვს) როგორ არის? (თავს
არიღებს ვიტყვას).

ნინო — კარგად, აქ დადგი.

გიორგი — სადა ხარ რეზო, აქეთ მოდი...
რეზო — აქა ვარ... ვაკნფთილებს ვამაზადებ...



გიორგი — კარგი... იმეცადინე...
 ვიტა — ძია გიორგი, თუ შეიძლება გაზეთს წავა-
 კითხავ.
 რეზო — აბა... (აძლევს).
 გიორგი — თავის ტყვილი ზომ არ გაწუხებს?
 ვიტა — არა, არა...
 გიორგი — ამ ორ დღეში უკვე ფეხზე იქნები, ერ-
 თად წავალთ კინოში, თეატრში, მუზეუმში...
 მანანა — ბოდიში... შეიძლება?
 ნინო — მოდი მანანა...
 მანანა — (ვიტიას ვაშლებს მიუტანს) თუ გესია-
 მოგნება...
 ვიტა — გმადლობთ...
 გიორგი — ამ კულრაქას დამიხედეთ... მოდი ჩემ-
 თან... შენ კარგი გოგო ხარ მანანა... აბა ერთი ლექ-
 სი წაიკითხე... ვიტა გესიამოგნება?
 ვიტა — სთქვას ძია გიორგი...
 გიორგი — აბა, ყურს გიგდებთ...
 ნინო — ჰო, ნუ ინაზებო...
 მანანა — ლექსი ი. გრიშაშვილისა... ბოდიში... და-
 ვიწყო?
 გიორგი — რა თქმა უნდა...
 მანანა — „დაობლებულ ბავშვებისათვის“ ...
 (კითხულობს აღნიშნულ ლექსს).
 ყველანი — (მხიარულად) ყოჩაღ მანანა...
 გიორგი — ძალიან ნუ ვიყვირებთ... ნუ დავივიწ-
 ყებთ რომ ავადმყოფთან ვართ...
 ნინო — ეს შენ (ჩურჩხელას აძლევს).
 მანანა — გმადლობთ (ვიტიას გაუწვდის) ეს ვი-
 ტიას ქონდეს.
 ნინო — მოიცა მანანა, ესეც ვიტაას (აძლევს). მეტი
 შეგონა, ორი ცალი-და დარჩენილა. რეზოს ნაეშა-
 კარს გაეს... (რეზოს აწვდის ჩურჩხელას).
 რეზო — ჯერაც არაფერი დაგებრალებიათ...
 ვიტა — ძია გიორგი, თუ შეიძლება მანანამ და
 რეზომ დაუკრას.
 გიორგი — გასაგებია... აბა კულრაქა.
 მანანა — ახლავე ძია გიორგი (გადის, შემოაქვს
 ვიოლინო).
 გიორგი — რეზო!
 რეზო — რა მამა?
 გიორგი — ზომ გაიგონე რა გვითხრა ვიტამ?
 რეზო — ახლავე...
 მანანა — ბოდიში... შეიძლება დავიწყოთ?
 გიორგი — შეიძლება... (უნდა დაიწყონ დაკვრა
 რომ იწყება საზენიტო არტილერიის სროლა) კონცერ-
 ტის დაწყება საზენიტო არტილერიამ მოასწრო...

ფარლა

მოკმელება მიოთხე

სურათი მემკვსე

(პირველი სურათის დეკორაცია, საღამოა, გრძელ
 სკამზე ზის და გაზეთს კითხულობს ვლადიმერ პეტ-
 როვიჩი, საათზე დაიხედავს, პაუზა, გადის. შემო-
 დიან ნინო, გიორგი და რეზო).
 რეზო — მამიდა, შენი ჭირივმე...
 ნინო — აბა, (ფულს აძლევს) შორს არ წახვიდე...
 (რეზო გადის).
 გიორგი — ერთი წლის წინად, აი ამ ზღანარში,
 სწორედ ამ ადგილას ვნახე ჩვენი ვიტა. მას ამ მოაჯი-
 რიდან უპირებდნენ მტკვარში გადაგდებას.

რეზო — აქედან მამა?
 გიორგი — ჰო!
 ნინო — კიდევ კარგი რომ სწორედ ამ დროს მოგმე-
 და აქეთ ყოფნა, ერთიც ვნახოთ და არ გამაგებელი
 მამინ?
 გიორგი — მამინ ვიტაას სიცოცხლე განწირული
 იყო...
 ნინო — ეჰ, ვინ იცის რამდენი ასეთი უდანაშაულო
 ბავშვი იმსხვერპლა ამ საშინელოა ომმა, რამდენ
 უმანკოს სისხლი დაიღვარა, რამდენი დედა ატირდა...
 გიორგი — შენ კი გახსოვს ნინო, როდესაც ვიტა
 მოვიყვანე სახლში როგორ შემხვდი?
 ნინო — ძნელია უცხოს შემოჭრა ოჯახში, ვინც
 არ უნდა იყოს ყველა ასე ფიქრობს; ასევერ ზომავს
 და ერთხელ სჭირს.
 გიორგი — შენ როგორ ფიქრობ, რეზოს უყვარს
 თუ არა ვიტა?
 ნინო — და მერე როგორ...
 გიორგი — გახსოვს, როდესაც ვიტა დასჭირეს,
 რეზო როგორ დაჟინებთ მოითხოვდა რომ ვიტა
 მის ლოვინში ჩაგვეწვინა (პაუზა) ჯერ კიდევ ამ და-
 მეს სწორედ აქ, როცა მე მისი მეგობრები ცუდად
 მოვიხსენიე ვიტამ ასე მიძასულა: არა ძია, ისინი
 არ არიან დამნაშავენი... და ახლაც ხშირად გულის-
 ტყვილით იგონებს ავი თავის ტოლებს და ნატრობს
 მათთან შეხვედრას. (სათს დახედავს) რა მშვენიერი
 საღამოა... შეხედე ნინო, ვილაც თევზაობს... ბაღე
 ამოსწია... ცუდ ფეხზე მოვსულვართ, ბაღე ცარიე-
 ლია (გადიან მოაჯირის გასწვრივ, შემოდის ვლადი-
 მერი, გაზეთს ათვალავრებს, მოპყვება რეზო, გულ-
 მკერდზე უტყერის, ვლადიმერი ჯდება).
 ვლადიმერი — ასე გულდაგულ რომ ჩასცქერი ამ
 გაზეთს, შენ რა უფრო გაინტერესებს?
 რეზო — მე... მე, ძია კაპიტანო, ყველაზე უფრო
 (ორდენებზე არევენებს) ეს მაინტერესებს.
 ვლადიმერი — აი შენც გაზორდები, იბრძოლებ და...
 რეზო — მე რომ დიდი ვიქნები, მამინ ომი აღარ
 იქნება?
 ვლადიმერი — მერე და შენთვის საწყენია ეს ამ-
 ბავი?
 რეზო — ომი თუ არ იქნება აბა ისე ამდენ ორ-
 დენს ვინ მომცემს?
 ვლადიმერი — რა გქვია ბიჭოკო...
 რეზო — რეზო...
 ვლადიმერი — სწავლობ?
 რეზო — ვსწავლობ...
 ვლადიმერი — რომელ კლასში ხარ?
 რეზო — მეხუთეში...
 ვლადიმერი — ვინ იყო ბუშკინი იცი?
 რეზო — ვიცი... რუსეთის გამორჩენილი პოეტი.
 ვლადიმერი — გცოდნია...
 ვლადიმერი — (პაუზა) ქართველი მწერლებიდან
 ვის დამისახელებ?
 რეზო — რუსთაველს, ვაჟა ფშაველას, ილია ქა-
 შავაძეს, აკაკი წერეთელს...
 ვლადიმერი — რუსთაველის ბიოგრაფიას ხომ ვერ
 მეტყვი?
 რეზო — რაღა ისეთ პოეტზე მეკითხებით, რომ
 მელსაც ბიოგრაფია არა აქვს...
 რადიო — ლაბარაკობს თბილისი. ვიწყებთ გადმო-
 ცემას პიონერთა და მოსწავლეთათვის, მოისმინეთ
 ნიჭიერ ნორჩ მუსიკოსთა გამოსვლა. ჩაიკოვსკი „ნეა-



პოლიტიკური სიმღერა“, ვიოლინოზე ასრულებს მანანა თურმანაული.

რეზო — მამიდა, იწყება... მანანა უკრავს... (შემომოდის გიორგი და ნინო, ყურს უგდებენ).

გიორგი — (გადმოცემის შემდეგ) ყოჩაღ მანანა...

რადიო — ლისტი. მე-6 რადსოდა, როიალზე ასრულებს მესამე მუსიკალური ტექნიკუმის მოწვევი ვიტა ივანოვი.

ვლადიმერი — (წამოდება) რაო ყურმა ხომ არ მომატყუა. თქვენ გაიგონეთ? როგორ გამოაცხადო დიქტორმა?

რეზო — ვიტა ივანოვი...

ვლადიმერი — ეგ შეუძლებელია...

გიორგი — როგორ თუ შეუძლებელია, რა გემართებათ, ამხანაგო?

ვლადიმერი — მე ვისმენ მუსიკას ვიტას შესრულებით... სიზმარია თუ ცხადი?

გიორგი — რა მოგივიდათ მეგობარო?

ვლადიმერი — ღვთის გულისათვის მასწავლეთ, სად არის რადიოკომიტეტი. მე მინდა ვნახო იგი, იქნებ ჩემი შვილია...

ნინო — როგორ თუ თქვენი?

ვლადიმერი — დიახ ჩემი, ჩემი ოქროსთმინანი შვილი...

ნინო — როგორ თუ შვილი?

ვლადიმერი — დიახ შვილი, ნამდვილი შვილი, მოთხარით საით წავიდე, ღვთის გულისათვის... გზა მასწავლეთ...

გიორგი — თქვენ ვინ ბრძანდებით, ეს როგორ...

ნინო — ვიტა ხომ ჩვენია...

ვლადიმერი — მე იგი წელიწადნახევარია არ მინახავს, არაფერი ვიცი მის შესახებ, გთხოვთ მიცნობდეთ: კაპიტანი ვლადიმერ პეტროვიჩი ივანოვი... იგი უკრავს... ვიტა... ვიტა...

ნინო — გიორგი... ეს რა მესმის...

რეზო — ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, თუ თქვენ ვიტას მამა აღმოჩნდით, როგორ გავახარებ მას...

ვლადიმერი — ერთად ცხოვრობთ? წამიყვანეთ, მაჩვენეთ, იგი კვლავ უკრავს, გთხოვთ, გემუდარებოთ, მაჩვენეთ, ჩემი ვიტა... ჩუ თუ ის... კი მაგრამ როგორ, საიდან?

გიორგი — ახლავე გეტყვით: ერთი წლის წინათ, სწორედ აქ, ამ ბაღნარში მე იგი ვიხსენი სიკვდილსაგან, სრულიად შემთხვევით.

ვლადიმერი — შესაძლოა ის არის... როგორ მოვიტყე?

გიორგი — ნუ ღელავთ მეგობარო, იგი აქ გამოივლის, მე მას შეგახვედრებთ ამ ბაღნარში, თუმცა არა, მე თქვენ უკეთეს შეხვედრას მოგიწყობთ, ჩემთან სახლში...

ვლადიმერი — სახლში? არა, სჯობია რადიოკომიტეტში წავიდე... ვინ იცის იქნებ მართლაც ის არის...

რეზო — გთხოვთ წამოხვიდეთ...

ვლადიმერი — თქვენ ალბათ შორს...

გიორგი — არა, არა, აქვე ვცხოვრობთ, მხოლოდ ეს ადგილი დაიმსხვრეთ... ჩვენ ორთავემ აქ, ამ ბაღნარში აღმოვაჩინეთ იგი, წავიდეთ, იქნება მართლაც თქვენი შვილია...

ვლადიმერი — წავიდეთ... (გადაიან).

(გიორგის ბინა, ნინო სუფრას აწყობს)

ვლადიმერი — ძალიან გთხოვთ ჩემი შეწუხდებით, მე ისედაც მტკიარება

ნინო — აბა რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, ნუ დაივიწყებთ რომ საქართველოში იმყოფებით...

ვლადიმერი — დიახ, მე გამიგია თქვენი სტუმართმოყვარეობის შესახებ, ნუ შესწუხდებით... (შემოდის ელენე).

ნინო — მოსალოდნელია, რომ ეს კაცი ვიტას მამა აღმოჩნდეს... მომეხმარე...

ელენე — რას ამბობ... (გადაიან).

გიორგი — როდესაც ვიტა ავად იყო მან ნაჩუქარი ფულით თქვენთვის აი რა იყოდა...

ვლადიმერი — ეგ რა არის?

გიორგი — ნახეთ, ახალი გამოცემა, საუკეთესო თარგანი.

ვლადიმერი — რუსთაველი. „გეფხისტყაოსანი“, ჩემს საყვარელ და მებრძოლ მამას“, საქართველოდან... ვიტა... ეს ის რუსთაველია, რომლის სიტყვები დარიალის კლდეზე სწერიან: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“-ო...

გიორგი — დიახ, დიახ, მხოლოდ ჯერ ისეც ადგილზე დასდეთ, დე თვითონვე მიართვას მამას, ლუფრო გაეხარდება.

ვლადიმერი — მამ იგი მამაზე ფაქრობს, ზრუნავს...

გიორგი — არა მართო მამაზე, მან წერილები და შეკითხვები დაგზავნა ყველგან დედის ადგილსამყოფელის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არაფერია.

ნინო — გიორგი, ვიტას მოლოდინში ჩვენს სტუმარს ვერავითარი პატივი ვერ გეცით, თქვენ ალბათ დალილი ხართ, დაბრძანდით, იგი სულ მალე მოვა.

ვლადიმერი — გმადლობთ.

გიორგი — ვლადიმერ... პეტროვიჩი! თქვენ თბილისში მსახურობთ?

ვლადიმერი — არა, მე ეშელონს მივყავა.

გიორგი — სს. იგი მოვიდა... ვლადიმერ პეტროვიჩი, გთხოვთ მოეფაროთ თორემ ასე უეცარი შეხვედრა არ ივარგებს, აი აქ აჯობებს, არა, არა, აქ უკეთესი იქნება, რეზო, რეზო, შენ კარები გააღე. (რეზო კარებს აღებს, კარებში გამოჩნდება ნახშირფენი ფორმის გამოწყობილი კოლია და მიშა).

ნინო — ესენი ვინაა არიან?

რეზო — ვინ გნებავთ?

კოლია — ჩვენ... ვიტა სახლშია?

გიორგი — არა... თქვენ ვინა ხართ?

კოლია — ჩვენ... ვიტას ამხანაგები ვართ.

მიშა — ნუთუ არ გახსოვთ... აბა მოიგონეთ ბაღნარი...

კოლია — ჩვენ ბოდიშის მოსახდელად მოვედით...

გიორგი — ჰოო! თქვენ ისინი ხართ?

კოლია — დიახ... ჩვენ მაშინ... ახლა ბოდიში გვინდა...

გიორგი — ერთი წლის შემდეგ ბოდიში, კარგი ამბავია სწორედ... ერთი ამით დამიხსენეთ როგორ გამოწყობილან... მობრძანდით, ვიტა შინ არ არის, მალე მოვა...

რეზო — მობრძანდით...

ნინო — ეს ბავშვები თითქოს სადღაც მიწახვას...



კოლია — დიახ, დიახ, ჩვენ ამ ოთახში შევხვდით ერთმანეთს.

ნინო — მხოლოდ ძალიან ცუდ საქმეზე არა?

კოლია — დიახ... დიახ... ჩვენ მაშინ ცუდად მოვიქცეთ, მხოლოდ მას შემდეგ ჩვენი ცხოვრება გამოიკვალა.

მიშა — ჰო გამოიკვალა...

კოლია — ჩვენ ახლა კარგი ბიჭები ვართ...

გიორგი — ვასაგებია, ვასაგებია...

ვლადიმერი — გიორგი მიხაილოვიჩ, გამოვიდეთ თუ არა? (გამოდის).

გიორგი — სულ დამაფიქსელა, ვლადიმერ პეტროვიჩ, შეგაწუხებ ხომ?

კოლია — ძია ვალოდია...

მიშა — ძია ვალოდია...

რეზო — ვიტია მოდის, გესმით მისი სიმღერა?

გიორგი — ჰო, ის არის... აბა შენ (მიშას) გენერალ-პოლკოვნიკო (კოლიას) შენც, შეიე ზღვის ფლოტის აღმირალე, ჩაიმაღეთ... ჩქარა... თავი დახარეთ... აი, ასე... ვლადიმერ პეტროვიჩ, გახოვთ, უკანასკნელად... ნინო ჩემად იყავი, არაფერი წამოგვტდეს... (შემოდის ვიტია)...

რეზო — მომილოცავს ვიტია... მომილოცავს...

ვიტია — კარგად ისმოდა?

რეზო — ისმოდა?

გიორგი — ჩემო ვიტია, ნება მომეცი უბირველეს ყოვლისა მოვილოცო... მოვილოცო... რადიოში წარმატებით გამოხვლა, მშვენიერად ასრულებდი... თუმცა რას უკრავდი არც კი მახსოვს...

ვიტია — რატომ ძია გიორგი?

გიორგი — ყური მივდე ჩემო ვიტია.. იმის გარდა რომ ექიმი ვარ მე შემოიღია სხვადასხვა მოჩვენებითი ამბების გაკეთება (რეზოს ყურში უჩურჩულებს).

ვიტია — როგორ თუ მოჩვენებითი, რას ამბობ ძია გიორგი?

გიორგი — მე შემოიღია უცბათ მოგაჩვენო შენი საყვარელი ადამიანები, თანახმა ხარ?

ვიტია — არაფერი არ მესმის...

გიორგი — ახლავე გაიგებ... აბა ჩემო ასისტენტო რეზო, გააკეთე ის რაც გითხარი...

რეზო — არის გააკეთო ის რაც მითხარი... (რეზო სინათლეს აქრობს და ანთებს, ვიტიას წინ დგანან კოლია და მიშა).

ვიტია — კოლკა... მიშკა...

კოლია — ვიტკა... (გადაეხვევა).

ვიტია — კოლკა, მიშკა, როგორ, საიდან, კიდევ გახსოვდით? შენ როგორა ხარ მიშკა?

კოლია — ჩვენ ნახიმოველები ვართ... შენი ნახვა გადაეწყვიტეთ და მოგინახულეთ კიდევ...

გიორგი — ვიტია! შენთვის დღეს არაჩვეულებრივი დღეა... რადიოში წარმატებით გამოხვლა, ძველი მეგობრების ნახვა, მაგრამ ყველაზე უფრო სასიხარულო და უჩვეულო ჯერ არ იცო...

ვიტია — რა ძია გიორგი, ისიც ასეთი მოჩვენებითია?

ვლადიმერი — (მეჭკვიარებს) ვიტია... (მეჩერდება. პაუზა) ვიტია!!!

ვიტია — მამა... (გადაეხვევა).

ვლადიმერი — როგორა ხარ ჩემო ვიტკა... (ხელში აიჭატებს)...

ვიტია — კარგად ჩემო მამიკო (კოცნის).

გიორგი — აი ასე... ვლადიმერ პეტროვიჩ, ამ დაბოძანდით...

მანანა — ბოდიში... შეიძლება?

გიორგი — შენ ხარ კულრაჭა?

ნინო — მოდი მანანა...

მანანა — ვიტია, მამა ჩამოგივიდა? მომილოცავს (გადაეხვევა).

რეზო — მოიცა მანანა... გაიცანი კაბიტანი ვლადიმერ პეტროვიჩ ივანოვი... ესეც ჩვენი მეგობარი კულრაჭა მანანა.

მანანა — ბოდიში... (ხელს ართმევს ვლადიმერს).

გიორგი — მეგობრებო! ამ ქეით მინდა ვაღდეგრძელო ჩვენი ძვირფასი ქვეყნის დამცველების ღირსეული წარმომადგენელი ვლადიმერ პეტროვიჩი. ჩვენ ტიხასა და ლხინში ერთად უნდა ვიყოთ, ერთნი უნდა ვიყოთ და ასეც არის.. თქვენი სახით მე ვსვამ ჩვენი უძლიერესი წითელი არმიის, ჩვენი მარშლებისა და სარდლების სადღეგრძელოს, ვისურვებთ გამარჯვებას.

ვლადიმერი — ვამადლობთ.

გიორგი — მუსიკა, ცეკვა, აბა მეზღვაურებო, არ შემარცხვინოთ. რეზო საცეკვაო... კულრაჭა ჩქარა... (მანანას შემოაქვს ვიოლინო, რეზო და მანანა უკრავენ, ცეკვას კოლია და მიშა მეზღვაურულს, შემდეგ ვიტია უკრავს, ცეკვავს რეზო და მანანა).

გიორგი — ჩვენი ქვეყნის ყვავილებო! თქვენი სადღეგრძელო იყოს...

ვლადიმერი — ძვირფასო მასპინძლებო! ჩემთვის ეს დღე და ის წუთები, რაც ბაღნარში და აქ ვაწვდიადე, დაუფიქსარი იქნება. ერთი რამ მინდა გითხრათ: ამ ამბავმა მე ძალა შემმატა, მე ზრდილაში წავალ გარკვეულ ენერგიით, იმიტომ, რომ მე ვიგრძენი ჩვენი ზურგის სიმტკიცე, მე ვიგრძენი, რომ ჩვენს ზურგში არიან ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ ჩვენს შეილებზე, მე დავრწმუნდი, რომ ჩვენი ბაღნარის ნორჩ ნარავებს კარგი მებაღენი ჰყვანან. მე არ შემოიღია, რომ აქ ბელადის სამშობლოში არ შევსვა უსაყვარლესი ადამიანის, ჩვენი ბაღნარის მოკამკავა მზის, ჩვენი დიდი ქვეყნის მესაქსისა და იმედის, ჩვენი ხალხის უდიდესი მზრუნველის სადღეგრძელო, დღეგრძელობდეს და დიდხანს სიცოცხლობდეს დიდი სტალინი (სეკს). ნება მომეცი მადლობა გადაგიხადოთ ამ გულთბილ შეხვედრისათვის. ნახვამდის მეგობრებო. გიორგი მიხაილოვიჩ, ამჟამად საშუალება არა მაქვს ვიტია თან წავიყვანო, ვინაიდან პირდაპირ ფონტზე მივიდივარ... თქვენ გაბარებთ, ჩემს ყვავილს. ნახვამდის ვიტკა, ნახვამდის რეზო.. ნახვამდის მეგობრებო.. მე მალე დავბრუნდები.

ვიტია — მამა... (გადაეხვევა).

გიორგი — ვიტია რა დროს ცრემლებია... აბა, სიმღერა (მღერობს, ყველა ატილებს, შემობრბის ვიტია წინის წასაღებად, რომელიც ვლადიმერს დარჩა, შეეფეთება რეზოს).

რეზო — ვიტია:

ვიტია — რა იყო?

რეზო — მე და შენ ვიტია ნამდვილი ძმები ვართ, ღვიძლი ძმები.. (გადაეხვევა) აბა, წავიდეთ (ვლადიმერს).

(ფარდა)



მეზღაპრე

იყო და არა იყო რა,—
იყო ზღაპრების ტიკტორა,
შავი შაშვი მგალობელი
და ბაბუა ზღაპრის მთქმელი.

იუცნაური კაცი იყო ეს ბაბუა! მისი ხნის არავინ იყო ამ ქვეყანაზე. სად არ ყოფილა, რა არ უნახავს, რა არ გაუგონია? და ყველაფერი ისე ახსოვდა, როგორც გუშინდელი დღე.

ბოლოს იმდენი ამბავი დაუგროვდა, რომ ვეღარ იმასხოვრებდა. ხშირად აერეოდა ხოლმე ერთმანეთში ნახული და გაგონილი. მაშინ ასე დაიწყებდა:—იყო და არა იყო რაო. ზოგჯერ სახელს ვერ მოიგონებდა და უბრალოდ იტყოდა—იყო ერთი კაცი. ხან დაავიწყდებოდა—სად, რომელ ქვეყანაში მომხდარ ამბებს ყვებოდა და თხრობას გადაიტანდა ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვას იქით. ზოგჯერ ისიც მოსკლია, რომ ერთი ამბავი დაუწყია და შეუმჩნევლად მეორეზე გადასულა, მესამით დაუმთავრებია.

იცოცხლობდა ბაბუა, რომ საქმე ცუდად იყო —მეხსიერება უფრო და უფრო უსუსტდებოდა, ამბების გახსენება უჭირდა. სწუხდა ბაბუა, მაგრამ რა უნდა ექნა? ეს ისეთი ძველი ამბავია, რომ იმ დროს წიგნები არ იყო, არავინ იცოდა არც წერა, არც კითხვა. თორემ ბაბუაც დაწერდა წიგნებს. არადა ძალიან ენანებოდა ამდენი შრომითა და მოგზაურობით შეგროვებული ამბების დავიწყება. ბევრი იფიქრა ბაბუამ ამაზე, და ბოლოს აი რა მოიფიქრა: აიღო ერთი ტიკტორა და ჩააღაფა შიგ, რაც ზღაპრები იცოდა. გადარჩა ზღაპრები დავიწყებას! ეს ტიკტორა მუდამ თან დასჭირებდა ბაბუას ნაბღის ქვეშ. როდესაც დასჭირდებოდა, მოხსნიდა თავს და მოყვებოდა ზღაპრებს.

ძალიან უყვარდა ხალხს მეზღაპრე ბაბუა, განსაკუთრებით ბავშვებს. როგორც კი დაინახავდნენ, შემოესეთოდნენ და ზღაპრებს ათქმევინებდნენ. უარს როგორ ეტყო-

და ბაბუა—ძალიან უყვარდა ბავშვები და ზღაპრები ხომ არ დაეღეოდა.

ერთხელ ბატარა გოგონამ ჰკითხა: სიმღერა არ იცი ბაბუა?

შეწუხდა ბაბუა. სიმღერა როგორ არ იცოდა, მაგრამ სუყველა ტიკტორაში შეინახა ზღაპრებთან ერთად. შემიღეგ კი, როცა დასჭირდა, ტიკტორას ხმაც ვერ ამოაღებინა... ვეღარც თვითონ მოიგონა. ბევრი ანჯღლია ბაბუამ ტიკტორა, ხან გაუჯავრდა, ხან სძიოფარა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ახლა, გოგონას შეკითხვაზე კიდევ უფრო შეწუხდა ბაბუა და გადასწყვიტა როგორმე ტიკტორას სიმღერა ათქმევინოს. გოგონას უთხრა: მეორედ რომ მოვალ, მაშინ გიმღერებო და წავიდა. სად წავიდა, არავინ იცოდა.

სამი დღე და სამი ღამე ფიქრობდა ბაბუა, არც სჭამდა, არც სვამდა, არც ძილი ეკარებოდა. სულ იმაზე ფიქრობდა—ტიკი როგორ ავაძღეროო. სამი დღის ფიქრის შემდეგ ჩაეძინა მოხუცებულს და სიზმარში ნახა, რაც აწუხებდა. გამოღვიძებისთანავე საქმეს შეუღდა: გამოთალა უბრალო ხისაგან წყვილი ღერო, მიაყრა ერთმანეთზე და ნახერტები გაუკეთა. ამ ნახერტებიდან სხვადასხვა ხმები უნდა გამოსულიყო. მაგრამ სად არის ხმა? გადაავიწყდა მოხუცს —რა ნახა სიზმარში ხმის შესახებ. მაგრამ მოფრინდა შაშვი და ნისკარტით ღეროში მოუტანა, გადასცა მოხუცს და გალობა დაიწყო. მოხუცი ნისკარტში მისჩერებოდა და ზუსტდებოდა. მალე მიხვდა ბაბუა—რას ნიშნავს ეს და როგორ უნდა მოქცეულიყო: გამოთალა ღეროშიაგან ორი ცალი შაშვის ენა და გაუკეთა ღეროებს ერთ თავში. შემდეგ ღეროები მიაბა ტიკს და მეორე ბოლოზე ქარახჩა წამოაცვა. ზედ ფერადი თვლებიც მიამაჯრა და ოქროს ძეწვეები ჩამოკიდა სილამაზისათვის. ამოიღო ტიკი ილიაში, ჩაბერა შიგ, შემიღეგ მკლავი მოუჭირა და გაისმა მშვენიერი ხმები. მოაგონდა ბაბუას სიმღერები და ლექსები, რაც კი იცოდა. ასე



გამოიგონა მეზღაპრე ბაბუამ სტვირი. სიხარულისაგან საკუთარი ლექსიც შეთხზა და დაამღერა.—

უნდა გენახათ ბავშვებსაც სიხარული, როცა ნამდიან ბაბუას დაინახავდნენ სტვირით ხელში! არც შაშვი შორდებოდა ბაბუას—უკვირდა, ჩემი ენა როგორ გამოაბა სტვირისო? როცა ბაბუა უკრავდა ან ზღაპრებს ამბობდა, შაშვი მხარზე აჯდა და უსმენდა. როცა ბაბუა ისვენებდა, შაშვი ვალობდა. ბაბუა კი უსმენდა, სწავლობდა ახალ-ახალ ჰანგებს და სტვირზე გადაჰქონდა.

დადიოდა მეზღაპრე ბაბუა თავის გუდასტვირით სოფელ-სოფელ და ყველგან სიხარული შეჰქონდა. კიდეც უფრო შეუყვარდა ხალხს მოხუცი მეზღაპრე. მისთვის ყველგან ღია იყო კარები.

ეს შეშურდათ ზოგიერთებს და მეფეს მოახსენეს: ხალხში ვიღაც მოხუცი დაღის, ხალხს ართობს, ამხნეებს, რაზე არ ელაპარაკება და შენ კი ერთხელაც არ გახსენებ-სო. ასე თუ გაგრძელდა, ხალხი ზღაპრულ მეფეებს შეიყვარებს და შენ კი დაგივიწყებსო.

განრისხდა მეფე და მეზღაპრის შეპყრობა ბრძანა. მაგრამ ის თვითონ მივიდა სასახლეში, უშიშრად წარუდგა მეფეს და მოახსენა:

— რას გვიბრძანებ, მეფეთმეფეო მეზღაპრე გეახელით? მეფემ დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი.

— ამდენი გიცხოვრია და ნუთუ სიცოცხლე აღარ მოგებზრდა?—ჰკითხა ბოლოს მეფემ.


— სიცოცხლეს რა მომაბეზრებს, მბრძანებელო, როცა ამდენი ზღაპარი ჩემ ხელთ არის.


— მაშ კარგი, ბრძანა მეფემ,—ამიერიდან ჩემს სასახლეში იცხოვრებ და ჩემს მახლობლებს გაართობ შენი ხელოვნებით.

— დიდო მბრძანებელო! თქვენი სასახლეს არც სიმიდრე აკლია, არც გართობა. მე უბრალო ხალხის შვილი ვარ, მასთან გაზრდილი და მისი სურვილის ამსრულებელი. უჩემოდ ხალხი ვერ გაძლებს და თქვენთვის კი სრულიად ზედმეტი ვიქნები.

სამინლად გაბრაზდა მეფე და ბრძანა, — ახლაც შეიპყრეთ ეს თავხედი და ჯურღმულში ჩაადეთ. ხვალ დილით კი თავი მოსჭირით და მალაღზე ჩამოკიდეთ, რომ ყველამ დაინახოს.

მაშინვე შეასრულეს მეფის ბრძანება. იმ დღეს და ღამეს ჯურღმულში ამყოფეს მეზღაპრე ბაბუა, დილით კი მოედანზე გაიყვანეს. იქ საჯაროდ ჯალათს თავი უნდა მოეჭრა მისთვის. იმ ქვეყანაში ასეთი წესი იყო. სიკვდილით დასასჯელი რასაც ისურ-





ვებდა სიკვდილის წინ, გარდა სიცოცხლის პატიებისა, შეუსრულებდნენ. მოხუც მეზღაპრესაც ჰკითხა ჯალათმა:—რაა შენი უკანასკნელი სურვილიო?

— ეს ნახევარი გულა ზღაპარი-ღა დამრჩა სათქმელი, გამიშვიო, დავცლი და შემდეგ რაც გენებოთ, ის მიყაეთო. მოახსენეს მეფეს. მეფემ დაცინვით ბრძანა:

— მიმინიჭებია მისთვის ნახევარი გულა სიცოცხლეო!

გაუშვეს მოხუცი. გაუხარდა ხალხს და ურჩია:—გაუფრთხილდი ზღაპრებს, გამოიზოგე, წელიწადში თითო ზღაპარი სთქვი და დიდხანს გეყოფაო. არ ისურვა მოხუცმა—ბავშვებს რომ ყოველდღე ზღაპარი არ ეკითხრა, ისე რა გამაძლებინებსო! მოხსნა გულას თავი და მოყვა ზღაპრებს.

ბავშვების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! თანაც იმაზე სწუხდნენ:—რა გვეშველება, ბაბუას რომ ზღაპრების ტიკჭორა გამოეცლებაო.

— ნეტავი არასოდეს არ დაიცლებოდეს ბაბუას ტიკჭორაო!—ინატრა პატარა გოგონამ.

ამ დროს ნიავმა დაუჭროლა და ამ გოგონას თმაში გაიხლართა.—გამიშვიო და ნატერას აგისრულებო! უთხრა გოგონას ნიავმა. გოგონამ თმა გაიწორა და ნიავი გაათავისუფლა.

გაინფარდა ნიავმა, გადაიარა მთები და მინდვრები, ტყეები და ველები, ზღვა და ხმელეთი, შეაგროვა სადაც რას მოკრა ყური ან რა დაინახა და ჩაბერა მეზღაპრის ტიკჭორაში. ისევ გაიქცა მეზღაპრის ტიკჭორა. მას შემდეგ ნიავი სულ ასე იქცევა და ზღაპრის ტიკჭორაც აღარ იცლება.

ის მეფე გარდაიცვალა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ამ ქვეყანაზე. მოხუცი მეზღაპრე კი, თუმცა, ახლაც ცოცხალია და განაგრძობს თავის საქმეს.





ესპანელები

ესპანელებისა და ინდიელების ურთიერთობიდან

1511 წელს დიეგო ველასკეზმა სამასიკა-ციხაგან შემდგარი რაზმით დაიპყრო კუნძული კუბა და ადგილობრივ მცხოვრებ ინდიელებს შიმის ზარი დასცა. ესპანელები, რათა გაეგოთ ინდიელებისაგან თუ სად მოიპოვებოდა ოქროს საბადოები, მიმართავენ მცხოვრებლების წამებას:

ინდიელთა დიდი თანამგრძნობი და დამცველი ლას-კაზასი თავის ისტორიაში შემდეგ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც ახასიათებს ინდიელებისა და ესპანელების ურთიერთობას. როდესაც კუნძულ კუბაზე ესპანელებმა ტყვედ ჩაიგდეს ადგილობრივი ბელადი გატიო, მას ცეცხლში დაწვა მიუსაჯეს.

კოკონის გაჩაღების წინ, რომელშიც ცოცხალი ადამიანი უნდა დაეწვათ, ესპანელი მისიონერი არწმუნებდა გატიოს მიელო ქრისტიანობა, მომკვლარიყო ქრისტიანად და სანაცვლოდ მას ჰპირდებოდა მარადიულ ნეტარებას სამოთხეში.

— კი, მაგრამ ესპანელები იმყოფებიან თუ არა სანეტარო ქვეყანაში, რომლის შესახებაც შენ შელაპარაკებოდი?— შეეკითხა მოულოდნელად ინდიელი მისიონერს.

— დაახ.— უპასუხა მან.— მაგრამ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ ქვეყნად კეთილნი და სამართლიანნი იყვნენ.

— უკეთესი მათგანიც კი არ შეიძლება სამართლიანი და კეთილი იყოს მე არ მინდა მოეხდეთ იქ, სადაც შეხვდები თუნდ ერთ კაცს ამ დაწყევლილი ტომისას!— უპასუხა აღშფოთებით ინდიელმა.

ბევრი სასტიკი ადამიანის სახელი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ მათ შორის თავისი ვერაგობითა და სისხლის წყურვილით გამოირჩევა ფრანცისკო პიზარო-პერუს დამპყრობი.

პერუში ქვეყნის მმართველებს „ინკები“ ეწოდებოდათ. მათ თავიანთი თავი „მზის ძვილებად“ მიაჩნდათ. მთავარი ინკა ღმერთის მოადგილედ ირიცხებოდა და ამავე დროს უმთავრესი ღვთაების— მზის ქურუში იყო.

1530 წელს პიზარო თავის სამ ძმასთან ერთად ესპანეთიდან ახალ ქვეყნისაკენ გაემგზავრა. რამდენიმე წლის შემდეგ იგი პერუს სანაპიროზე გადასხდა თავის რაზმით. პერუელების ბანაკში მალე გაიგეს თეთრკანიანი ადამიანების მისვლა. მათმა ინკამ ატაჟუალპამ პიზაროსთან ელჩი გაგზავნა. მისვლისას ელჩი მიწაზე დაეშხო და პიზაროს „ვირაკომას ძე“ უწოდა. ვირაკომა, პერუელების რწმენით, ცის ღმერთი იყო, რომელიც წარმოშობილა ზღვის ქაფიდან, იგი იყო ღმერთი მეხის მტყორცნელი და ღრუბელთა შემგროვებელი. ის წარმოადგენილი ჰყავდათ თეთრი სახით და ნათელი ან ოქროსფერი თმებით. ესპანელების თეთრი კანის გამო პერუელებმა იფიქრეს, რომ მისულები ვირაკომას შვილები იყვნენ.

პიზარომ თავის მხრივ ატაჟუალპასთან გაგზავნა წარმომადგენლები, რომლებმაც ის მიიპატიეს ესპანელების ბანაკში. ინკა დათანხმდა, ელჩების დაბრუნებას ესპანელები მოუთმენლად მოელოდნენ. პიზაროს

გადაწყვეტილი ჰქონდა ატაქულაბა მისე-
ლისთანავე შეეპყრო.

მეორე დღეს „მზის შვილი“ დიდი ამა-
ლით მიუახლოვდა ესპანელების ბანაკს. პი-
ზარომ თავისი მეომრები დამალა და საბა-
ტიო სტუმრებთან გაგზავნა მხოლოდ
მღვდელი ვალვერდე თარჯიმანის თანხლე-
ბით. ვალვერდე ატაქულაბას მიუახლოვდა
ჯვრითა და ბიბლიით და წარმოსთქვა
ვრცელი სიტყვა. მან დაიწყო სამყაროს
შექმნით, გადავიდა ქრისტეს მოძღვრებაზე,
ილაპარაკა პაპის შესახებ და ბოლოს ინკას
მიმართა წინადადებით უარეყო საკუთარი
რწმენა და ესპანეთის მეფის ქვეშევრდომი
გამხდარიყო.

გაოცებულმა ატაქულაბამ მას მრისხა-
ნედ უპასუხა.

„მე ყველაზე ძლიერი მეფე ვარ ამ ქვეყ-
ნად! მზად ვარ პატივა ვცე თქვენს მეფეს,
როგორც ძმას და არა როგორც ბატონს.
რწმენას ვერ გამოვიცვლი. თქვენი ღმერთი
მოჰკლეს მის მიერვე. შექმნილმა ადამიანე-
ბმა, ჩემი კი ისევ ცხოვრობს ცაში და მო-
წყალედ უტყერის თავის შვილებს“. ამ სი-
ტყვებით ინკამ მიუთითა ჩამავალ მზეს.
რომლის სხივები ბრწყინავდნენ „მზის შვი-
ლის“ ოქროს ტახტზე.

შემდეგ ატაქულაბამ იკითხა, თუ რა უფ-
ლებით უყენებენ მას ასეთ მოთხოვნებს.
ვალვერდემ მიუთითა ბიბლიაზე.


„მზის შვილმა“ მოითხოვა წიგნი, გადა-
შალა და ყურზე მიიდო.

— „ეს წიგნი მე არაფერს მეუბნება“, —
წარმოსთქვა მან და წიგნი მიწაზე დაავდო.
ეს თითქოს ნიშანი იყო.

ჩასაფრებული მეომრები მოსცივედნენ
სტუმრებს, აელვარდა ხმლები, დაიჭუნეს
ზარბაზნებმა და დაიწყო ამაღის შეუბრა-
ლებელი ქლელა. მოულოდნელობისაგან
გაოცებული და დამფრთხალი პერუელები
თავსაც არ იცავდნენ და ისე იღუპებოდ-
ნენ. ამაღის მცირე ნაწილი გადარჩა.

ატაქულაბა დაატყვევეს.
ესპანელები ახლომახლო სოფლებს შეე-
სივნენ და ოთხიათასამდე პერუელი მოს-
პეს.

დრო გავიდა.
„მზის შვილი“ ატაქულაბა განთავისუფ-
ლებას მოითხოვდა. პიზარო დაეთანხმა, თუ
კი ტყვე სასყიდელს გაიღებდა. ინკამ დათ-
ქმული ოქროსა და ვერცხლის ნივთებით,



რომლებმაც ერთი ოთახი ნახევრამდის
აავსეს, თავი გამოისყიდა.

მაგრამ ვერაუმა პიზარომ ის მოატყუა.
განთავისუფლების ნაცვლად ტყვეს დაა-
ბრალეს, რომ იგი წარმართ ღმერთებს
სცემდა თავყვანს, რომ უკანონოდ ეჭირა
ტახტი...

ატაქულაბას სიკვდილი მიუსაჯეს.
განაჩენის მოსმენის შემდეგ ატაქულაბა
ბავშვებით ატირდა და წამოიძახა:
— სად არის თქვენი სინდისი?

მეტი არაფერი უთქვამს.
„მზის შვილი“ სიკვდილით დასაჯეს 1533
წლის 29 აგვისტოს.

თვითონ ფრანცისკო პიზარო რამდენიმე
წლის შემდეგ მეთქმულებმა მოჰკლეს.
ეშაფოტზე დაამთავრა სიცოცხლე აგრეთვე
მისმა ძმამ განზალი პიზარომ 1548 წელს.

თარგმანი მ. კეკელიძისა





როტორ აილეს მთამსვლელებმა ხვამლის „ციხე“

ხვამლს დასავლეთ საქართველოში კარგად იცნობენ, ვინაიდან მის ირგვლივ თითქმის არ მოიპოვება არც ერთი კუთხე, საიდანაც არ შეიძლებოდეს ამ უზარმაზარი და ხშირად თავნისლიანი კლდის დასახვა. იგი სწორედ ლეჩხუმისა და იმერეთის საზღვარზეა ბუმბერაზულად დაყუდებული: შუბლით რიონის ხეობას გამოსცქერის, ხოლო ზურგი ცხენისწყლისათვის მიუქცევია. რიონის მხარეს. ამ კლდეში რამდენიმე დიდი და მცირე ბუნებრივი ქვაბულია, სხვადასხვა სიმაღლეზე.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ საქართველოში ჯალალედინისა და მონღოლთა შემოსევისას (მე-13 საუკუნეში) მეფე რუსუდანმა (დიდი თამარის ასულმა) სამეფო საგანძური აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში გადაატანინა და ხვამლის ქვაბულში შეანახვინა, როგორც ყველაზე უფრო საიმედო საძალავში. კარგახნის შემდეგ საქართველოში წყვილად გამოფეხულმა, რუსუდანის ვაჟმა და ძმისწულმა, დავით VI და დავით VII თითქოს გამოიღეს და ძმურად გაიყვეს ხვამლში დაცული საუნჯის მცირე ნაწილი, ხოლო დანარჩენი შიგვე დასტოვეს... ამის მერე საქართველოს მატთანე ხვამლს აღარასად ახსენებს. მაგრამ მე-18 საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი აღწერს ხვამლის ქვაბულს, როგორც „მტრისაგან შეუვალს“ და „მეფეთა საგანძურთა სადებს“.

აი, რამ გააღვივა ასე ძლიერ საუკეთესო ოსტატი, მთამსვლელის ალიოზა ჯაფარიძისა და მის მიერ წაქეზებული ქართველი მთამსვლელების სწრაფვა ხვამლის კლდისა და მისი ქვაბულებისადმი.

II.

ექსპედიცია ავტომანქანით გაემგზავრა თბილისიდან 1945 წლის 20 ივნისს და შუალამისას უკვე ქუთაისში ვიყავით.

22 ივნისს მზის გადახრისას ავედიტ რიონის პირას მდებარე სოფელ მეჭვენაში, რომელსაც ხვამლის მთა ზედ დაჰყურებს.


იმავე საღამოს დაეკარით ბარგი პატარა, „ჩოჩიალა“ ურმებზე, თეითონაც წამოვიკიდეთ დიდრონი საზურგე ჩანთები და შევეუდეთ მთა-მთა, დაკლაკნის, ლორღიანლოდთან გზას.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ვაწში ავედიტ. ეს სოფელი ხვამლის კლდის ძირობაზეა შეყუჟული.

დილას ცხენები ვიჭირავით, მძიმე ტვირთი მათ გადავიკიდეთ, ჩვენ ისევ ჩვენი ჩანთები ვიზურგეთ და მალე შევერიეთ ხვამლის კალთებზე შეფენილ წვრილ ტყე-ბუჩქნარს. ნაშუადღევს უკვე ხვამლის ერთ-ერთ ქვედა ქვაბულში იყენენ ჩვენ შორის უმარჯვესნი და უმარდესნი. ნელ-ნელა ყველამ მოვიყარეთ თავი. შებინდებისას უკვე ცეცხლიც აბრიალდა და ჩვენი პირველი „ლაშქრული“ ვახშამი გამზადდა.

III.

მეორე დღეს გაავადარდა. და ქვედა ქვაბულში ყოფნა ძალაუუნებურად გავვიხანგრძლივდა. თითქმის გადაუღებელივ წვიმიდა; შეშა სველი იყო და ცეცხლი მწარედ ბოლავდა. მაინც გარშემო ვუსხედით: ზოგი კითხულობდა, ზოგი დღიურს სწერდა, ზოგი ჭადრაკს თამაშობდნენ. ქალები დიასახლისობდნენ. იყო სხვადასხვა ამბების მოყოლა და მსჯელობა.



სამე საათს მის გამოძრობასა და უკუ აზრ-
დვას მონღომებოდნენ.

ერეკნული

მეორე დღეს ისევ ნისლში გაჩნდნენ ისევ ასტეხის წვიმის წვეთებმა ტყლამუნი ქვაბულის წინ მდგარი თხილის ფოთლებზე.



IV.

როგორც იქნა, გამოიდარა და ჩვენც გან-
ვარბეთ იერიშისათვის მზადება. სამნი
მთის გარშემომავალი ბილიყით ავიდნენ
ხვამლის თავზე და ზურგით აზიდეს მკლავ-
ვისისხნო თოკის მორგეები და რკინის დი-
დი ქალი (თოკის გადმოშვების გასაადვილე-
ბლად). ძირს დარჩენილნი მთელდღეს შე-
ვკიჟინებდით მთაზე ასულეზს და გაფაცო-
ცებრთ შევყურებდით პიტალო კლდეს—ან
ახლა ჩამოცოცდება თოკი, ან ახლავ. თვით
ხალხს კი ვერ ვხედავდით, რადგან კლდე
პირქუშალ გადმოჰფარებოდა თავზე ჩვენს
ადგილსამყოფელს. ხმაყაც ვერ ვაწვდენ-
დით, სანამ ერთი ჩვენგანი ბუჩქნარში არ
ჩავიდა. ჩვენგან ძლიერ მოშორებით, განზე
მდებარე კლდის ნაგლიჯზე არ შეძკრა და
ამრიგად „საჭაერო კავშირგაბმულობა“ არ
მოაწყო. მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა:
თოკი არსად ჩანდა, სალამოს სამივენი
მოთლილ-მოქანკული ჩამობრუნდნენ. თოკი
გადმოვედრით, მაგრამ იქვე, სულ ახლოს
გაქედლიყო კლდის ნაპრაღში და რამდენ-

V.

მხოლოდ 28 ივნისს მოხერხდა კლდის თავი-
ვიდან თოკის ჩამოშვება. შუადღისათვის
უკვე გაიმართა გზა, რომლითაც საბოლოოდ
უნდა შევსეოდით „მთავარ ციხეს“. მისი
შემხედვარე კაცი ძალაუნებურად დაფიქრ-
ლებოდა იმაზე, თუ რა ძნელი და თითქმის
შეთქმეხელიც უნდა ყოფილიყო ამ ციხის
აღება ძველად, როდესაც შიგ, ალბათ, მარ-
თლაც ინახებოდა საქართველოს „მეფეთა
საგანძური“, რომელსაც რჩეული მცველი
რასში ეყოლებოდა მიჩენილი. მტერი ახ-
ლოსაც ვერ მიეკარებოდა საგანძურს, ბუ-
ნებისაგან ნაბოძებს შეუვალ საფარს რომ
მარჯვე და უშიშარი ვაჟკაცების თავდადე-
ბაც დაემატებოდა.

პირველმა, რა თქმა უნდა, ალიქსანდრე
(ალიოშა) ჯაფარიძემ შესდგა კიბეზე ფეხი.
მან დინჯად, ერთხაირად დაძაბული ნა-
ბიჯით აათავა კიბე, ერთხანს მიეფარა
გაუმომავრელ კლდეს და მერე კი ან
კლდეზე აღმართული დიდი ურთხელის გვე-
რდით გამოჩნდა, ხელი წაავლო ზის ტოტს,
გადმოიზნიქა და სახემომლიმარმა გადმოვე-
ხედა.

— აბა, ამოდით, ვისაც გული გერჩით!—
ჩამოგვძახა მან, როდესაც წელზე შემორტყ-
მული და ამრიგად თან ატანილი თოკი
შემოიხსნა და ურთხელის ჯმუხ ტანს შე-
მოახვია რამდენჯერმე.—ნუ აჩქარდებით,
ხშირად დაისვენეთ და ძირს ცქერას ნუ დაი-
წყებთ... ეს თოკი მაგრა შეიბით წელზე და
მეც დაეხმარებით აქედან!

დავიწყეთ ნელ-ნელა ასვლა. ამსვლელოთა
რიგს ალიოშა აწესებდა ზემოდან. აქ იგი
იმასაც უწყევდა ანგარიშს, რომ პირველ
რიგში უფრო ღონივრეუნი და გამოცდილნი
ამცვრალიყვნენ, რათა მომდევნოთათვის
სკლის შესასმუბუჭებლად მამველი თოკის
აზიდვა არ გასჭირებოდათ.

სათილობისას უკვე ათივენი ამოვუდექით
მხარში ალიოშას და მან კმაყოფილებით
გადაჰხედა თავის რაშმს, რომელმაც ყველა-
ზე მძიმე „ბრძოლა“ ღირსეულად მოიგო.

მთავარი ქვაბული მაინც ჯერ კიდევ
თავს დაგუქქროდა. 5-6 მეტრის სიმაღლი-
დან. ჩვენ ვიმყოფებოდით კლდეში საგან-
აებოლ გამოკვეთილსა და ძირმოსწორებულ
ბაქანზე, რომელსაც 2-3 მეტრი სიგანე და
35 მეტრი სიგრძე ჰქონდა. ალიოშამ 1939
წლის გამოცდილებით იცოდა ეს ამბავი და

ამიტომ ქვემოთ ყოფნისავე შეუტყვეთა ჩვენი ქვაბულის შორიანლოს, საზაფხულო ბინაზე მყოფ მწყემსებს სათანადო სიმაღლის კიბე, ისინი ხალხით დაგვიბრდნენ კიბის გაკეთებას.

VI.

მეორე დღე ბაქნის მოსუფთავებას, აზომვა-ჩახატვას, აღწერას და მის იატაკზე აქა-იქ დაფენილი მიწის ათხრას მოვანდომეთ. სრულიად უეჭველი გახდა, რომ ამ ბაქნას თავის დროზე მთელ სიგრძეზე, მიუყვებოდა ქვიტყირის სქელი კედელი და რომ ეს სიგრძე ვადახურულიცა და კლდისეულივე ტიხრებით ოთახებად დაყოფილიც ყოფილა. ერთი სიტყვით, კარგა მოზრდილი შენობა აუღიათ ძველ ქართველებს ამ თითქმის მიუღწევი და მიუჭარბელი კლდის შუაგულში, ამ „ორბის ბუდეში“.

VII.

მთავარ ქვაბულში მხოლოდ 30 ივნისს შევედით. დიდი ჭაპანწყვეტით ავზიდეთ თოვით ხუთმეტრიანი, ტლანქად შეკრული კიბე, როგორც იქნა, გაემართეთ იგი არც თუ ძალიან განიერ ბაქანზე და მივამჯინეთ კლდის გამოწაფვერს, რომლის შემოთუკივე მთავარი ქვაბულის ძირი იყო.

ქვაბული ქვიტყირის სქელი, მკვიდრი, ჯირაც დაუნგრეველი კედლითაა წინიდან შეზღუდული. ამ კედელს დიდრონი კარფანჯრები და ბატარა საჭკურტები თუ სათოფურები აქვს დატანებული. შიდა სიგრძე, ვტყობა, ორსართულიანი ყოფილა. ქვაბულის იატაკი და საში კედელი სრულიად უსწორმასწორო ბუნებრივი კლდის წარმოადგენს, აქა-იქ კალკიტის კრისტალებსახშულს. ქერიდან წყარო მოჩხრიალებს.

იატაკი თეთრ ტალახში ახელილი ღორღით იყო დაფარული. სწორედ ამ ღორღისაგან უნდა გაგვეწმინდა ქვაბული. გვეწარმოიბინა „არქეოლოგიური ფათხრები“.

ეს ფათხრები 4 დღეს გაგვიგრძელდა, ვინიდან იატაკი ძალზე დაქანებული იყო, კლდის ნაპრაღში შერჭობილ პალოში გაყრილ თოქს ვეზმოდით რიგრიგობით და ისე ვიქნევდით წირაქეს. მოთხრილი ღორღი თავისთავად მიხრიალებდა კარისაკენ. საშინელი შხაილით ივლიდა უფსკრულში.

ფათხრებმა სრულიად უშედეგოდ ჩაიარა. ღორღს ჩვემთ დაგვხვდა უსწორმასწორო და იციცაბო პიტალო და სხვა არაფერი.


ამით დასრულდა ხვამლის ექსპედიციის ძირითადი საქმიანობა. თითო-დროელა რამ მაინც წამოვიდეთ, სამუზეუმო თუ პირადლ საინსტრუქტორ.

VIII.


4 ივლისს საბოლოოდ ავიბარეთ „ორბის ბუდიდან“ და სათითოდ ჩამოვედით ძირს. ერთ კვირას „ცასა და მიწას შორის“ წააცხოვრები, გალადებული, დიდებულ საზაფხობას მიჩვეული ვიყავით და ძალიან გვეტყხოვა დაბლა ყოფნა, მით უმეტეს, რომ მკათათვის ბული და სიცხე დაგვხვდა ბარში.

ამიტომ ყველანი სიამოვნებით დავეთანხმეთ ალიოშას წინადადებას ხვამლის მთაზე გარშემოვლით ასვლისა და იქ ლამისთვის შესახებ.

მესამე დღეს უკვე ქუთაისში ვიყავით. დოკი და კიბე ალიოშამ განზრახ დასტოვა კლდეზე გადმოვიდებული. ასლა ქუთაისის სკოლების უფროსი კლასების მოწაფეები წააქეზა, დარაზმა და წაიყვანა ხვამლის კლდეზე. თხუთმეტობდე ყმაწვილი გაჰყვამას და თითქმის ყველამ თამამად შესდგა ფეხი თოვლის კიბეზე.



ჩანახატები ვ. ბელეცკაიასი.



აერონაოსნობის ისტორიიდან საქართველოში



ბესარიონ გეგუჩია

ადამიანი ძველთაგანვე ოცნებობდა ჰაერში ფრენასა და ბუნების სივრცეთა დაპყრობაზე. უამრავი ხალხური მითი, თქმულება და ლეგენდა, როგორცაა ძველ ბერძენთა მითოლოგიიდან იკაროსი და დედალოსი, ბაღდადელი ქურდის მფრინავი ხალიჩა, გრძნეული სულეტი, ფასკუნჯები, რაშები და სხვა, იმას მოწმობენ, რომ ადამიანი ოცნებობდა ჰაერში ფრენაზე.

ქართულ ლიტერატურაში მრავლად მოიპოვება ასეთი შინაარსის ფაქტები; მაგალითად, შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი აქვს, თუ ფატმანმა მფრინავი გრძნეულის საშუალებით როგორ გადაუგზავნა ნესტან დარეჯანს ტარიელის წერილი.

პოემა „ომანიანი“ აღწერილია ტარიელისა და ავთანდილის შვილიშვილის ომანის თავგადასავალი. მან მფრინავი ხის ცხენი დაამზადა, მიფრინდა ეგვიპტეში და გაიტაცა მეფე ალი-კაფერის ქალიშვილი, მზეთუნახავი ბურნა-მელიქი. ასეთივე თქმულებებია ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში ყველაზე პოპულარული თქმულებაა გმირ ილოზე, რომელმაც შხარას მთაზე მოკლა გველეშაბი, მისი ფრთები გაიკეთა და ქვევით დაეშვა, კახეთში—ხოშატიზე, რომელმაც ორთაბრძოლაში დაამარცხა ფასკუნჯი, თუშეთში და ხევსურეთში მფრინავ რაშებზე და სხვ. საქართველოში ბურთობის ფრენის პირველი ცდა მსოფლიოში მოახდინეს ძმებმა მონგოლფიერებმა ჯალაკ ლიონის მახლობლად (საფრანგეთი) 1783 წლის 5 ივნისს. მათ თავიანთი ბურთობის ასავსებად გამოიყენეს ყველაზე მსუბუქი გაზი. წყალბადი, რომელიც ჯერ კიდევ 1766 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა მეცნიერმა კავენდიშმა.

1784 წელს საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით მონგოლფიერებმა პარიზში გაიმეორეს თავისი ცდები, რასაც

უამრავი ხალხი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში საპაერო ბურთობის პირველ გაფრენას ესწრებოდა აგრეთვე რამდენიმე ქართველი, მათ შორის ხუცესი ვინმე დავითი, რომელმაც ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა მეფე ერეკლეს. ხუცესმა დავითმა დეტალურად აღწერა არა მარტო ფრენის ამბავი, არამედ გააკეთა ნახაზი, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმის არქივში.

საქართველოში საპაერო ბურთობის პირველი გაფრენა მოხდა XIX საუკუნის დასასრულს, სახელდობრ 1882 წლის 10 ნოემბერს, როდესაც თბილისში ჩამოვიდა ფრანგი ბედე. მისმა საპაერო ბურთობმა პირველი გაფრენის დროს თითქმის 300 მეტრის სიმაღლეს მიაღწია, ხოლო მეორე გაფრენის დროს მან ჰაერში თან აიყვანა ცოცხალი სახეღარი.

ათი წლის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა ცნობილი აერონავტიკოსი ოგიუსტ გოდრონი, რომელსაც მოვლილი ჰქონდა ევროპის მთელი სახელმწიფოები და რუსეთი. მან სამი გაფრენა მოაწყო თბილისში, თუმცა წარმატებით მხოლოდ ერთი გაფრენა დამთავრდა. გოდრონმა, ბედეს მსგავსად, ჰაერში აიყვანა ცოცხალი სახეღარი, რომელიც, გაზეთ „ივერის“ ცნობით, შიშით საშინლად ყროყინებდა. ამ გაფრენის შესახებ ცნობილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი თავის წიგნში „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ სწერდა, რომ გოდრონის დანამგზავრი, ვეებერთელა სახეღარი, ვინმე მიკიტან ამრაგუნეს საკუთრებას შეადგენდაო. ერთი წლის შემდეგ გოდრონი კვლავ ეწვია თბილისს და რამდენიმე გაფრენა მოაწყო წარმატებით.

XX საუკუნის დასაწყისში უკვე იწყება მთელი რიგი საპაერო გაფრენები და ძმადრენიციკებისა, რომლებიც თავიანთ საპაე-

რო ბურთობს ცხელი ჰაერით ავსებდნენ. მათი ბურთობი კონსტრუქციით მონგოლ-ფიერის ბურთობს წააგავდა და მოცულობა თითქმის 300 კუბმეტრს უდრიდა.

1908 წელს საქართველოში ჩამოვიდა გუგო ტეილორი (ბლეკმტინი), რომელმაც რამდენიმე გაფრენა მოახდინა ბათუმში, ხოლო შემდეგ ქუთაისში. ერთ-ერთი ფრენის დროს 1910 წლის 15 მარტს იგი ტრაგიკულად დაიღუპა ქალაქ ქუთაისში.

აღსანიშნავია, რომ საჰაერო ბურთობთა გაფრენებით გატაცებულმა მ. ზ. ჯორჯაძემ დასწერა ოთხმოქმედებიანი პიესა, რომელსაც სახელად „აეროსტატი“ ეწოდებოდა.

გუგო ტეილორის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ საჰაერო ბურთობთა გაფრენები საქართველოში დამთავრდა და დაიწყო პირველი ქართველი ავიატორის ქებურიას, უტოჩკინის და ვასილიევა გაფრენები თვითმფრინავით. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში უხუცესი მფრინავი ბესარიონ სავლეს-ძე ქებურია. იგი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ავიაციით, მას იზიდავდა ლურჯი ცა, შევარდნით განაჯარღება ცის კამარაში და 1909 წელს მისი ოცნება განხორციელდა. მან საბურთალოში მოახდინა პირველი გაფრენა ბაშუკის პლანერით, გაფრენა წარმატებით დამთავრდა. შემდეგ ქებურია მიემგზავრებო პარიზს და ქუთაისელ მიხეილ გრიგოლაშვილთან ერთად სწავლობს ცნობილ ავიოკონსტრუქტორ ლუი ბლერიოსთან. 1910 წელს მან წარმატებით დაამთავრა საფრე-

ნოსნო სკოლა და მიიღო პილოტ-ავიატორის წოდება.


1910 წლიდან ქებურია აწყობს მთელს საქართველოში. აღსანიშნავია, რომ პარიზიდან დაბრუნების დროს ვარშავაში ქებურიამ ჩაატარა საცდელი გაფრენა, რის გამოც ვარშავის გუბერნატორმა ვენერალმა სკალონმა ქალაქის თავზე ფრენისთვის ქებურია 500 მანეთით დააჯარიმა. ამის შემდეგ ქებურიამ ჩაატარა მთელი რიგი გაფრენები ნიჟნი-ნოვგოროდში, ყაზანში, სარატოვში, ასტრახანში, ბაქოში და ჩამოვიდა თბილისში.

ათეული წლების მანძილზე დაუღალავი მუშაობით ქებურიამ შექმნა საკუთარი კონსტრუქციის აპარატი და წარმატებით გაფრენები მოაწყო საქართველოს ქალაქებში—თბილისში, ქუთაისში, სამტრედიისში, ხონში, ფოთში.

უხუცესმა მფრინავმა ბესარიონ ქებურიამ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ბევრი რამ გააკეთა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ზრდა-განვითარებისათვის.

1945 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ავიაციის განვითარების დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, დაბადების 75 წლისთავისა და საავიაციო მუშაობის 35 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უხუცესი მფრინავი ბესარიონ ქებურია დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

3. ზარღალიზვილი



3. ქებურიას კონსტრუქციის თვითმფრინავი (1910 წელი)




• მითოლოგიის •
 ლექსიკონი

იანუსი — სპეციზალურად რომაელების ღვთაებაა, რომლის სახის შექმნაზე ბერძნულ მითოლოგიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. იანუსი (იან), როგორც მისი სახელი (ianus, ianus — „კარი“) გვიჩვენებს, კარების ღვთაება იყო. ამ ღვთაების შემოღება და მისი თავყვანისცემა ადამიანის განვითარების იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც შეიქმნა ოჯახი და სახლში შესასვლელს, კარებს რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭა. კარები ერთი სახით შინ იყურება, მეორეთი — გარეთ. ამიტომ უწოდებდნენ და სახეზდნენ მას ორპირსახიანს (bifrons).

„ორპირსახიანი იანუსი“ ყოველი დასაწყისის ღმერთია. რადგან დასაწყისი ერთი საქმისა მოასწავებს დასასრულს მეორისას, ამიტომ მას კიდევ „გამლები“ და „ჩამკეტი“ ეწოდება. ზეცისა და ცის თაღის მექარე, მცველი შესასვლელისა და გასასვლელის, მშვიდობიანობისა და ომიანობის, ყოველგვარი საქმიანობის დასაწყისისა და დასასრულის ღმერთი იანუსი, თურმე, იუბიტერზე ადრე განაგებდა სამყაროს. რომაელები, რომელთაც თავის მითოლოგიაში არავფერი აქვთ ნათქვამი სამყაროსა და ღმერთების წარმოშობის შესახებ, იანუსს სთვლიდნენ ყოველი არსებულის შემქმნელად.

იანუსს მიძღვნილი ჰქონდა დღის პირველი საათები, ყოველი თვის პირველი დღე, წლის პირველი თვე. იანვარი მისი სახელი-საგან წარმოსდგა და წლის ამ პირველი თვის პირველი დღე (calendae ianuariae) უმთავრეს დღესასწაულად ითვლებოდა, რომელიც იანუსის პატივსაცემად იმართებოდა. ამ დღეს ახალ, სუფთა ტანსაცმელს იცვამდნენ, ერთმანეთს ყოველივე კეთილსა და კარეს უსურვებდნენ, „დაიბედებდნენ“ სასიამოვნო და სასარგებლო საქმიანობას, რომ ყველაფერი ეს მთელ წელიწადს გაჰყოლოდათ. წლის ამ პირველი თვის, ძველი და ახალი წლების მიჯნის განსახიერება ორპირსახიანი იანუსი იყო, ერთი სახით ძველ წელს რომ უცქეროდა,

მეორეთი — ახალს. იანუსის ტაძარი კარების, ჭიშკრის სახე ჰქონდა. ამ კარებს ხერადენენ მხოლოდ მშვიდობიანობის დროს, აღებდნენ ომიანობის დროს და ღირს სტოვებდნენ ომის დამთავრებამდე; აქედან გზავნიდნენ ლეგიონებს სალაშქროდ, აქ შეღებავდნენ იანუსს მტერზე გამარჯვების მონიჭებას და მშვიდობიანობის დამყარებას. რომის ისტორიის მთელ მანძილზე — მისი პირველი მეფე რომულიდან პირველ იმპერატორ ავგუსტუსამდე — ეს კარები მხოლოდ ორჯერ დაიკეტა, რაც რომაელების გამუდმებული ომიანობისა და მათ შემორთულ ხასიათს მოწმობს.



რომაელთა ბრინჯაოს ფული „ასის“ ორპირსახიანი იანუსის გამოსახულებით.

თვით ავგუსტუსი, თავისი მშვიდობის-მოყვარეობა და ამავე დროს რომის იარაღისა და დიპლომატიის წარმატებანი რომ სურს აღნიშნოს, „საქმეთა“ მე-13 პარაგრაფით ასე მეტყველებს: „იანუსს კვირინის ტაძარი, რომელიც, ჩვენი წინაპრების ჩვეულებითაა მებრ, გამოიკეტებოდა ხოლმე, როცა რომის ხალხის ყველა ხელქვეით ქვეყნებსა და ზღვებში სუფევდა ძღვევათსილებით მოპოვებულ მშვიდობიანობა, და რომელიც მთელი ხნის განმავლობაში ქალაქის დაფუძნების დროიდან მოკიდებული ვიდრე ჩემ სიცოცხლემდე მხოლოდ ორჯერ დაიკეტა, ჩემი პრინციპატის დროს, სენატის დადგენილებით, სამჯერ იქნა დაკეტილი“.

ზოგიერთი თქმულებით იანუსი თავდაპირველად ღმერთი კი არ იყო, არამედ ძველი იტალიის უძველესი მეფე, რომლის დროს ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა და ის ამისათვის სიკვიდილის შემდეგ გააღმერთეს. პლუტარქოსი მოგვითხრობს, რომ იანუსმა პირველყოფილ, უვიც და უხეშ ადამიანებს სხვა, ახალი სახე მისცა, ამიტომ იგი ორპირსახიანი ჰყავდათ წარმოადგენილი. შეიძლება ორპირსახიანს მას კიდევ

იმიტომ სთვლიდნენ, რომ იგი მეგობრულად გაუმასპინძლდა ღმერთ სატურნს და ორივე ერთად განაგებდა ძველ იტალიას.

ორპირსახიანი იანუსი, როგორც დროის განსახიერება, წარსულისა და მომავლის მცოდნეობის სიმბოლო იყო.

რომში ერთ დიდ მოედანზე, სადაც აღეზმიცემობა სწარმოებდა, იანუსს, როგორც ვაჭრობის მფარველს ქანდაკებანი ჰქონდა დადგმული. იანუსს სახავედნენ აგრეთვე ფულზე.

„იანუსი“ გადატანილი მნიშვნელობით ახლა ორპირ, ორგულ, პირმოთენე ადამიანს ნიშნავს.

„ორპირსახიანი იანუსის“ სახით ვლადიმერ ილიასძე ლენინი ამათრახებდა ყველა იმან, ვინც ორ ბატონს ემსახურებოდა, ვინც ორპირობას იჩინდა და ერთსა და იმავე დროს ეგუებოდა ორ მტრულად განწყობილ პარტიას. თავის ადრინდელ სტატიებში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი“ ლენინი სწერს: „... ნაროდნიკი თეორიაში სწორედ ისეთივე იანუსია,—ერთი სახით წარსულის შემსუბუქე, მეორეთი კი მომავლის,—როგორც ცხოვრებაში წვრილი მწარმოებელი, რომელიც ერთი სახით წარსულისაკენ იყურება, რომელსაც სურს გაამაგროს თავისი წვრილი მეთურნეობა, რომელსაც არაფერი იცის (და არც სურს იცოდეს) საერთო ეკონომიურ წყობილებაზე და იმაზე, რომ აუცილებელია ანგარიშის გაწევა გამგე კლასისათვის, ხოლო მეორე სახით მომავლისაკენ იტყობება, მაგრამ მტრულად არის განწყობილი მისი გამალატყებელი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.“ (I ტომი—482 გვ.).

შემდეგში იანუსის სახე გამოყენებული აქვს ლენინს კადეტების მიმართ, რომლებიც I სათათბიროში საჯაროდ აყენებდნენ წინ თავისი აგრარული რეფორმის დემოკრატიულ გარეგნობას, III სათათბიროში კი ამ რეფორმის შემამუღურ ხასიათს. „ორპიროვანი იანუსი, — ამბობს ლენინი სტატიებში „აგრარული კამათი III სათათბიროში“,—ქარის მიხედვით ამბრუნებს თავის „სახეებს“ ხან ერთ, ხან მეორე მხარეს“ (XII ტომი—512 გვ.).

მოირა (ფატუმი)—ბედისწერას ნიშნავს. უძველეს დროში ადამიანს სწამდა რაღაც უხილავი, უხეივანი, განუზომელი ძალის არსებობა, რომელსაც ყველგან და ყოველგვ, თვით ღმერთებიც კი ემორჩილებოდნენ. ამ ძალას ბედისწერა ეწოდებოდა. „ილიადში“ ჩვენ გვითხულობთ:

მაგრამ ბედისწერას, მე მგონია, ო, ვერ ამცლავი, ვერც ერთი კაცი მიწიერი, ცხოვრების გზაზე ვერც გამგედავი და ვერც მხდლი, რა რომ ფეხი დაბადებულა, გაჩენილა ამ ქვეყანაზე. ასევე, ქართულ მითოლოგიურ პოემაში „ამირანში“ ნათქვამია:

ღმერთნიც ბელსა მორჩილებენ,
თუ შეიკრა ცოდვის რგოლი...

ან

ვერ აიქცევენ ღმერთებიც
მსჯავრს შაგბედისა მუხთლისა.

თვით კოსმოსის მბრძანებლებიც—ურანოსი, კრონოსი, ზევსი მორჩილებდნენ ბედისწერას, როგორც გარდუვალობას (ანანკა). ვერაინ შეცვლის მის მსჯავრს, მარადიულ და გარდუვალ მის კანონებს.

მოირას სახავედნენ ბრმა მოხუცად, რომელიც ფეხით დედამიწას ეყრდნობოდა, თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი გვირგვინი ედგა, ხელთ ფერფლის ლარნაკი და ყოველი არსებულის ბედისწერის წიგნი ეჭირა.

შემდეგში დამკვიდრდა რწმენა, რომ ყოველი ადამიანის ბედისწერას განაგებენ, ადამიანის სიცოცხლის ძაფს რთავენ ქალღმერთ-დები კლოთო, ლაქსიდა და ატროპოს. როდესაც დაიბადება ადამიანი, პირველი ქალღმერთი—კლოთო თავის სართავიდან ამოსწევს ამ ახლადბადებულის სიცოცხლის ძაფს, მეორე—ლაქსიდა უერთებს ამ ძაფს სხვა ძაფებს—ხან ოქროსფერს, ხან შავს, და ბზრიალებს თითისტარს, ირთვება სიცოცხლის ძაფი. ასე მიმდინარეობს ადამიანის დღე-ღამე—ხან სიხარულში, ხან მწუხარებაში, ვიდრე მესამე ქალღმერთი—ატროპოს თავისი მაკრატლით არ გადასჭრის ამ ძაფს. მაშინ სწყდება სიცოცხლე, კვდება ადამიანი.

რომაულ მითოლოგიაში მოირას შესატყვისი ფატუმი ანუ პარკები, აქაც სამი დის სახით წარმოდგენილი—ვენერა, მანა და ფატი.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია ათენა-პალასის ტაძრის—პართენონის აღმოსავლეთი მხარის ფრონტონი*), რომლის მარჯვენა კუთხეში ერთი მეორეს გვერდით ქალების სამი ფიგურაა,—ესენი ბედისწერის ქალღმერთების ფიგურებია, სიცოცხლით სავსე, დასარულებული ქალების სხეულებს გრძელი კაბები მოსავს. კაბები ლამაზ ნათქვამად არის დალაგებული და სინათლისა და ჩრდილის თამაშს ეფექტურ შთაბეჭდილებას იძლევა.

*) არქიტექტურაში ფრონტონი ეწოდება სამკუთხა არეს შენობის ორფერდა სახურავის ქვეშ.



მოირები.
პართენონის აღმოსავლეთი მხარის ფრონტონი (ბრიტანეთის მუზეუმი)



ყენ-ყენი



ვის არ წაუყიფხავს საიდუმლოებით მოცული „სიცოცხლის ფესვის“ ყენ-ყენის შესახებ. იმის შესახებ, თუ როგორ ატარებენ მთელ თვეებს მოხეტიალე მამიებლები — კორეელები და ჩინელები — შორეული ტაიგის გულში ამ უიშვიათესი მცენარის საძებრად.

ნამდვილი ყენ-ყენი ანუ „სიცოცხლის ფესვი“ მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, მისი საშობლო და გავრცელების არე ძირითადად სამხრეთ მანჯურია და კორეაა. იგი ყველაზე მიუვალ ადგილებში იზრდება: მთის ღრმა ხეობებში, ფხვიერ მიწაზე, ციცაბო ფერდობებში, ტენიან ტყეებში.

ჩინურ და ტიბეტურ მედიცინაში ყენ-ყენი წარმოადგენს უნივერსალურ საშუალებას ყოველგვარი ავადმყოფობის წინააღმდეგ. ჩინელები მას მიაწერენ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების უნარს და თითქოს მას შეუძლია ადადგინოს ადამიანის ძალა, ენერჯია და ახალგაზრდობა. ტიბეტელები ყენ-ყენს იყენებენ აგრეთვე ჭლეტის მალარიის, კიბოს და სხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ. აღსანიშნავია, რომ ნამდვილი სამკურნალო მნიშვნელობა ყენ-ყენის ფესვისა ევროპული მედიცინის ბიერ ჯერ დასაბუთებული არ არის.

მეცნიერების აზრით ყენ-ყენს მართლაც აქვს გარკვეული სამკურნალო თვისებები. ფიქრობენ, რომ ყენ-ყენი რადიოაქტიური ნივთიერებაა, ამიტომაც მის ფესვს ახასიათებს რადიოაქტივობა. ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით ნესტიან ამინდში ყენ-ყენის ფესვი სუსტ, ფოსფორულ სინათლეს გამოჰყოფს.

ყენ-ყენის ფესვი ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს, — ამიტომ მას ანალოგიური სახელწოდება ჰქვია („ყენ“ — ჩინურად

ადამიანს ნიშნავს). რაც უფრო მეტად ჰგავს ეს ფესვი ადამიანის ფიგურას, მას მით უფრო მეტ სამკურნალო თვისებებს მიაწერენ.

ყენ-ყენის ფასი დამოკიდებულია მის ასაკსა და ზრდის ადგილზე. განსაკუთრებით ფასობს ყენ-ყენი გირინის პროვინციისა (მანჯურია), უფრო ნაკლებად კი ჩინეთის პროვინციისა. კულტურულ ყენ-ყენს ათჯერ ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე გირინის გარეულ ყენ-ყენს. ზოგიერთი ფესვი 5.000 და 10.000 დოლარად იყიდება.

ყენ-ყენის რაოდენობა უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მცირდება, ამიტომ დაიწყეს ამ საინტერესო მცენარის გაშენება.

ყენ-ყენის პლანტაციები ძირითადად გაშენებულია კორეის საზღვართან მიაშინის მთაზე, უსურის მხარეში კი ტბა ხანკას ნაპირებზე და მდინარეების დაუბიჯეს და ულახეს გასწვრივ.

საბჭოთა კავშირში ყენ-ყენის ფესვები მოიპოვება შორეულ აღმოსავლეთში, უმთავრესად უსურის მხარეში: მთა ხეტციორის ჩრდილო ფერდობებზე, მდინარე იმანის სათავეებსა და დატიან-ლანის მთებზე. სამხრეთ ამერიკის ტყეებში იზრდება ყენ-ყენის მეორე სახე, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში გაჰქონდათ ჩინეთში. უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ყენ-ყენის პლანტაციების გაშენება. ყენ-ყენის კულტურის განვითარებას საბჭოთა კავშირში უდიდესი პერსპექტივები აქვს. მოსკოვსა და ლენინგრადში ტარდება საცდელი მუშაობა და დაკვირვებანი ყენ-ყენის, როგორც სამკურნალო საშუალების გამოყენებისათვის.

ქართველი მეცნიერები



ივანე ჯავახიშვილი

ქართველი საისტორიო მეცნიერების ფუძემდებელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დაიბადა თბილისში 1876 წლის 11 აპრილს. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში და მალე იქვე დატოვებულ იქნა პროფესორად. მან სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა ევროპაში, არაბეთში. 1906 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“.

როდესაც თბილისში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი, მეცნიერების საქმე ივანე ჯავახიშვილმა აიღო ხელში და ეს საქმე ღირსეულად გჳირა მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე

ულრესად მრავალფეროვანია ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული შემოქმედება. მისი უკვდავი შრომების საგანია ქართველი ერის ისტორია, სამართალი, ეკონომიკა, ფილოლოგია, მუსიკის ისტორია და სხვა. აკადემიკოს ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა მთელი სისრულით გაიფურჩქნა საბჭოთა ხელისუფლების დროს, და იგი, როგორც დიდი მეცნიერი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა.

განსვენებული მეცნიერი იყო არა მარტო დიდი მკვლევარი, არამედ ახალგაზრდა თაობის მეცნიერული კადრების საუკეთესო აღმზრდელი. იგი ახალგაზრდობას უნერგავდა ცოდნის სიყვარულს, უღვიძებდა სამშობლოს გმირული ისტორიისა და კულტურის შესწავლის ინტერესს, აჩვენებდა ბეჯითსა და გულმოდგინე მუშაობას. მისი აღზრდილი ქართველი მეცნიერები დღეს სათავეში უდგანან მშობლიური მეცნიერების აყვავების საქმეს და არა მარტო იცავენ ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობას, არამედ უზრუნველყოფენ მის შემდგომ განვითარებასაც. ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წელს.



დიმიტრი ბაქრაძე

56 წლის წინათ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი ბაქრაძე, რომლის საკვლევამებო მუშაობამ დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში.

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა 1827 წელს სოფელ ხაშში (საგარეჯოს რაიონი), მღვდლის ოჯახში. დაწყებითი სწავლა მონასტერში მიიღო, შემდეგ კი დაამთავრა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარია, მერე კი მოსკოვის სასულიერო აკადემია და 24 წლის ჭაბუკმა მიიღო კანდიდატის ხარისხი. მალე ბაქრაძე თბილისში ჩამოვიდა და დაიწყო მუშაობა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში სხვადასხვა თანამდებობაზე, მაგრამ სახელმწიფოებრივი საქსახური მისთვის საარსებო საშუალება იყო და არა მიზანი, ამიტომ იგი ბევრს მუშაობდა ქართულ ისტორიასა და არქეოლოგიაში. 1881 წელს არქეოლოგთა მეზუთე ყრილობის შრომებში დაიბეჭდა დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი, რომელშიც შეტანილია მოხსენებანი ქართული დამწერლობის, ქართული ოთხთავისა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ.

დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომებს მალალ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერები, მათ შორის აკადემიკოსი ბროსე. რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ დიმიტრი ბაქრაძე აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩია.

დიმიტრი ბაქრაძის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნაშრომები მათ შორის: „ისტორია საქართველოსა“, „საქართველო“, „მითრიდატე დიდი“, „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინადროებზე“ და სხვა.

დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს. მის დაკრძალვის დღეს გაზეთი „ივერია“ სწერდა:

— „არ დაგვიწყებთ იმითმ, რომ მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი არსებობა, თავისი ვინაობა და ეგ წარსული შენ მიგვეცი“. („ივერია“, 1890 წ. №32).





ვინ გაიმარჯვებს?

VI სერია

პასუხი V სერიაზე

1. ვინ სთქვა: „ატომის ენერჯიაც გვექნება და ბევრი სხვა რამეც...“?
2. როდის წარმოიშვა ცნება ატომზე?
3. რას ნიშნავს სიტყვა „ატომი“?
4. რისგან შესდგება ატომი?
5. რისგან შესდგება ატომის ბირთვი?
6. რამდენი ელემენტია ბუნებაში?
7. რომელ ელემენტად იქცევა რადიუმი?
8. რომელი ელემენტის დაშლის შედეგად არის მიღებული თვით რადიუმი?
9. ატომის ბირთვის დაშლა, გარდა ახალი ელემენტისა, კიდევ რას იძლევა?
10. რატომაა რომ მზე იძლევა სითბოსა და სინათლის ასეთ უზარმაზარ რაოდენობას?

პასუხი IV სერიაზე


1. საბჭოთა საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორები არიან გრიგოლ აბაშიძე და ალექსანდრე აბაშელი, მუსიკის ავტორი კი—ოთარ თაქთაქიშვილი.
2. ავტოკარხანა შენდება ქუთაისში, რომელიც წელიწადში გამოაუშვებს 30 ათას სამტრანაზღვრიან ავტომანქანას.
3. გამოთქმა ეკუთვნის პოეტ გრიგოლ ორბელიანს (ლექსი „სადღვრძელო“).
4. საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებია აფხაზეთი—დედაქალაქი სოხუმი, აჭარა—დედაქალაქი ბათუმი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი — დედაქალაქი სტალინირი.
5. ყველაზე მეტი ნალექი საბჭოთა კავშირში მოდის ბათუმში—ორი ათას მილიმეტრამდე.
6. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მეთებზე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა უდრის 4.120 მილიონ მანეთს.
7. საქართველოში არის 73 ადმინისტრაციული რაიონი.
8. საქართველო ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 1934 წლის 15 მარტს.
9. ინდოეთში იმოგზაურა რაფიელ დანიბეგაშვილმა.
10. ციტრუსები, ჩაი, ტუნჯო, თამბაქო.

1. ბექდვითი სიტყვის დღის ყოველწლიურად ჩატარება 1922 წლიდან დაიწყო. ბოლშევიკური პარტიის XI ყრილობამ მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ჩატარებულიყო „პრავდის“ ათი წლისთავზე (1922 წლის 5 მაისს) სრულიად რუსეთის ბექდვითი სიტყვის დღე.
2. ლენინურ-სტალინური „პრავდის“ გამოსვლა დაიწყო პეტერბურგში (ახლანდელ ლენინგრადში). „პრავდის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 მაისს (ძველი სტილით 22 აპრილს).
3. საერთო რუსეთის პოლიტიკურ გაზეთ „ისკრს“ პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ.
4. ძველ „ისკრის“ სათაურქვეშ ეპიგრაფად ეწერა: „ნაპოწკლიდან ალი აინთება!“
5. 1819 წლის 8 მარტს თბილისში გამოიცა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“.
6. პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილინი ტუილისისი უწყებთან“ გამოცემა დაიწყო 1832 წლის იანვრიდან.
7. პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი ამერეკავკასიაში იყო „ავკასკი რაბოჩი ლისტოკ“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1905 წლის 20 ნოემბრიდან (ახალი სტილით 3 დეკემბრიდან) ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.
8. პირველი ლენინურ-ისკრული მიმართულების არალეგალური ბოლშევიკური ქართული გაზეთი „ბრძოლა“ გამოდიოდა ბაქოში 1901 წლის სექტემბრიდან ამხანაგების ი. სტალინის და ლ. კეცხოველის ხელმძღვანელობით.
9. თბილისში 1889—1891 წლებში გამოდიოდა პირველი ქართული არალეგალური ყოველთვიური ჟურნალი „მუშა“.
10. პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა 1629 წელს ქალაქ რომში.
11. პირველ ქართულ საზღვარგარეთულ გაზეთს ეწოდებოდა „დროშა“.
12. გაზეთი „დროშა“ იბეჭდებოდა ჰექტოგრაფიულად პარიზში 1873 წელს. მას სცემდა ნიკო ნიკოლაძე, დავით მიქელაძის (მეველის) და პ. იშაილოვის თანამშრომლობით.
13. საბავშვო ჟურნალ „ჯიჯილის“ გამოცემა დაიწყო 1890 წლიდან ანასტასია ერისთავი-ზომტარაის რედაქტორობით.
14. ჟურნალ „პიონერის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1926 წლის 15 ოქტომბერს.
15. უძველეს ქართულ ძეგლებში სახელწოდება „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა; იგი ყველა და ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი იყო; რა დანიშნულებითაც უნდა ყოფილიყო „დაწერილი“ საბუთი, მას „წიგნი“ ერქვა.
16. პირველი ქართული სტამბა მოეწყო თბილისში 1709 წელს.
17. პირველი ქართული სტამბა მოეწყო მეფე ვახტანგ VI-ის დროს.
18. ავლაბრის არალეგალური სტამბის შენება დაიწყო 1903 წელს თბილისში.
19. გაზეთ „კომუნისტის“ პირველი ნომერი 1920 წლის 3 ივნისს გამოვიდა.
20. პირველი გაზეთი რუსეთში გამოვიდა 1701 წლის იანვარს მოსკოვში.

აგვისტო

ბიოგრაფიის კალენდარი

აგვისტო



„დაეცა მებრძოლი ბრძოლის ველზე“ — სწერდა ვაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ 1905 წლის ივნისში, ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების გამო.

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, განათლებული მარქსისტ-რევოლუციონერი ალექსანდრე (საშა) წულუკიძე დაიბადა 1876 წლის 13 აგვისტოს.

ჩემი მიზანია — საზოგადოების სამსახური და იარაღით ხელში პატრიოსანი მოსამზადებელი შრომა“. — ამბობდა იგი და ეს მან საქმით დაადასტურა. ჯანმრთელობა შერყეულმა ახალგაზრდამ, რომელმაც მხოლოდ 29 წელიწადი იცოცხლა, ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შესძლო: ალექსანდრე წულუკიძემ, ლადო კეცხოველთან ერთად, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, ცხრაასიანი წლების მიწურულში საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოაყალიბა რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციები. საშა წულუკიძე ერთერთი ხელმძღვანელი იყო 1900 წელში თბილისის მუშების გაფიცვებისა. იგი პოლიტიკურ მუშაობასთან ათავსებდა თეორიულ მუშაობასაც. სწერდა სტატიებს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე. ალექსანდრე წულუკიძის ისეთი ნაადრევ დღეუბა დიდი დანაკლისი იყო მშრომელი ხალხისა და ბოლშევიკური პარტიისათვის.



1818 წლის 11 აგვისტოს გარდაიცვალა გამოჩენილი ორსი გამომგონებელი მექანიკოსი კულიბინი. იგი დაიბადა 1735 წელს.

1919 წლის 30 აგვისტოს დაიღუპა სამოქალაქო ომის ცნობილი გმირი — შჩორსი.



წელს, 24 აგვისტოს შესრულდა 100 წელი, რაც გარდაიცვალა „რუსი მაგელანი“ ცნობილი მოგზაური ივანე კრუზენშტერნი. მან, უშიშარ მებრძოლთან — იური ლისიანსკთან ერთად შემოუარა მთელს მსოფლიოს. მათი მოგზაურობა დიდი წვლილი იყო მსოფლიო გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ივანე კრუზენშტერნმა და იური ლისიანსკიმ აღმოაჩინეს მთელი რიგი კუნძულებისა და დააბუსტეს ზოგიერთი უკვე ადრე აღმოჩენილი კუნძულების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. მათ შეადგინეს მრავალი სანავიგაციო რუკა, შეისწავლეს სახალინის სანაპიროები და დაადგინეს კამჩატკისა და ალიასკის სანაპიროებზე საზღვაო გზა ევროპული რუსეთისათვის.

ივანე კრუზენშტერნი არის პირველი რუსული გეოგრაფიული საზოგადოების ფუძემდებელი და დამაარსებელი. ივანე კრუზენშტერნი დაიბადა 1770 წელს.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



პიონერი

საბ. ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 8

აგვისტო 1946 წელი

წელიწადი მე-6

გამომცემლობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Год издания 20-й

№ 8

Издательство „Комунисти“

შინაარსი


ნიკოლოზი ლორთქიფანიძე — შეჯიბრება (მოთხრობა) 1 გვ.	გ. ზარდალიშვილი — აერონავსნობის ისტორიი-დან საქართველოში 24 "
გრიგოლ ცეცხლაძე — ჯიუტი თომა (პატარა ფელეტონი) 6 "	შ. გვინჩიძე — მითოლოგიის ლექსიკონი (იანუსი, მოირა) 26 "
როდამ ჩაჩანიძე — „გავროში“ (ნამდვილი ამბავი) 8 "	ენ-შენი (ნარკვევი ბუნებისმეტყველებიდან) 28 "
რ. თავდიდიშვილი — მებრძოლის სბოვნას (წერილი) 10 "	ქართული მეცნიერები 29 "
კ. გოგიაშვილი — ბადნარში (პიესა, დასასრული) 11 "	ვინ გაიმარჯვებს? 30 "
პარმენ ჭანიშვილი — მეზღაპრე 16 "	პიონერის კალენდარი 31 "
ჟიულ ვერნი — ეპიზოდები ესპანელებისა და ინდიელების ურთიერთობიდან 19 "	ნორჩი მოდელისტი (ნახატი ა. გიგოლაშვილისა) გარეკანის მე-2 გვ.
გიორგი ლომთათიძე — როგორ აიღეს მთამსგლელებმა ხვამლის „ციხე“ (შეისწავლე სამშობლო მხარე) 21 "	გასართობი გარეკანის მე-3 "

გარეკანზე მხატვარ ი. გაბაშვილის ნახატი „ზღვაზე“

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პ/მგ. რედაქტორი), გ. ვარდაიშვილი, პროფ. გ. თავაშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

ემ—02692 ტირაჟი 7000 გამოც. № 75 სტამბის შეკვეთა № 1116 ბერის სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწველ სამინისტროს ლითოგრაფიაში.



ამ უჯრედებში ჩასწერეთ სათანადო კითხვების პასუხთა პირველი ასოები. სწორი პასუხისას მიიღებთ ლოზუნგს.

პასუხების გაცემის გასაადვილებლად გირჩევთ წაიკითხოთ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

1. ქვანახშირის ახალი აუზი ჩრდილოეთში.
2. მრეწველობა, განსაკუთრებით მძიმე.
3. ოპტიკური იარაღის მინა.
4. ერთ-ერთი ქიმიური ელემენტი.
5. რესპუბლიკა, სადაც ახალ ხუთწლედში შენდება ფიქალის მაღაროები.
6. ქალაქი, სადაც შენდება ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა.
7. მდინარე, რომელზეც მდებარეობს ქალაქი ორიოლი.
8. საჭირო ნივთების კრებული.
9. სოფელი არაგვის ხეობაში, რომლის სახელი ეწოდება თბილისის ახალ წყალსადენს.
10. მოტორი ანუ ?.
11. წყალსადენის ნაწილი.
12. მძიმე ინდუსტრიის საფუძველი.
13. ქიმიური საშუალება, რომლითაც ჰრთვესორმა აგლაძემ შიდაწია მაღალხარისხოვანი ფოლადების მიღებას.
14. დიდი ქარხანა, რომელიც მეთხე ხუთწლედში უნდა აშენდეს ქუთაისში.
15. დიდი მშენებარე ელექტროსადგური საქართველოში.
16. რესპუბლიკა, სადაც შენდება მინგუჩაურის ჰიდროელექტი.
17. მიწის ხელოვნურად მორწყვა.
18. სამრეწველო რაიონი აღმოსავლეთში.
19. ქალაქი საქართველოში სადაც შენდება ახალი ორთქლმავალმშენებელი ქარხანა.
20. ხუთწლედის მესამედი ნაწილი.
21. ქალაქი რუსეთში, სადაც შენდება თბოელექტროცენტრალი.
22. ხორბლის მექანიკურად დამზარისებელი აპარატი.
23. ელექტროსადგური—გიგანტი, რომელიც აღდგენილ იქნება ახალ ხუთწლედში.
24. უმაღლესი სასწავლებელი.
25. რამდენიმე გასროლით შისალმება.
26. რა ტკბილ პრიდუქტს იღებენ კარხლისაგან?
27. განსაკუთრებით ჩქარი მატარებელი.
28. ქალაქი ვოლგაზე, რომელიც აღდგენილ უნდა იქნას ახალ ხუთწლედში.
29. ლითონის ნაირსახეობა.
30. სიდიდით მეორე მოკავშირე რესპუბლიკა.
31. ფლორის ნაწილი.
32. ღუმელი, საიდანაც ვიღებთ თუჯს.
33. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი.
34. გახეთის და წიგნის საბეჭდი დაწესებულება.
35. რისგან შესდგება ქიმიური ელემენტი.
36. მოძღვრება სითბოს შესახებ.
37. ვინ გააკეთა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მოხსენება ახალი ხუთწლედის შესახებ?
38. ქალაქი ციმბირში, სადაც შენდება ახალი მძლავრი სტრუქტურა ფაბრიკა.
39. ძვლის ფქვილი, დამზადებული გოგირდის სიმჟვით; ხმარობენ მიწის გასაპოხიერებლად.

ორი არაბი, ახმედი და იუსუფი, გზად მიმავალნი ერთ პატრულებს ზისში ისვენებდნენ. ის იყო პატრის კამას უნდა შესდგომოდნენ, რომ მათთან მივიდა ერთი უცხო ვინმე და სთხოვა: „მიწილადეთ თქვენი პური და კარგ საფასურს გადაიხდიო“. ორივე არაბი დათანხმდა. ახმედმა ამოიღო ხუთი პური, იუსუფმა—სამი და სამივენი მადიანად შეექცნენ. უცხო მგზავრმა დაუტოვა 8 პიასტრი და წავიდა.

— აბა, ახლა.—სთქვა ახმედმა,—წესიერად გავინაწილოთ. მე ხუთი პური ვუწილადე, მაშასადამე, მერგება 5 პიასტრი, შენ კი სამ პურში სამ პიასტრს მიღებ“. მაგრამ იუსუფი არ დათანხმდა. მას უნდოდა მთელი თანხის შუაზე გაყოფა. მიღხანს იკამათეს. არც ერთს არ სურდა დაეთმო. ჩავიდნენ ქალაქში და მოსამართლეს მიმართეს. მაგრამ ორივენი გაკვირვებული დარჩნენ მოსამართლის განაჩენით. მოსამართლის განაჩენი ასეთი იყო: „ახმედს ეკუთვნის 7 პიასტრი, ხოლო იუსუფს—ერთი“.

არის თუ არა სწორი ეს განაჩენი?

შ. გუზანკალური

თა	ნი	ნი	საწა	ბი	ა
ნი	ნი	ნი	ნი	თი	ნი
ბა	შვი	ბო	ყაფ	ლი	ბი
შვი	ბი	ნი	ვა	ა	ნი
ტი	როფ	ა	ი	თბ	ტა
ბა	ნი	ნა	ჭაფ	ძი	ნი

ცხენის სვლით წაიკითხეთ უჯრედებში მოთავსებული მარცხლები ისე, რომ მიიღოთ XIX საუკუნის ხუთი გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მწერლის სახელი და გვარი.

გ ა ს წ ო რ ე მ ბ ა

ამ ნომრის 30 გვერდზე გამოქვეყნებული განყოფილების „ვინ გაიპარჯგებს?“ V სერის მე-13 პასუხში ნაცვლად ანასტასია ერისთავი-ხომტარაისა უნდა იყოს: ანასტასია თუმანიშვილი. წერეთლისა.

33007 3 000.

29/68



ვერსი 5 7